1 მაისს სოც. შეჯიბრის გაშლით და დამკვრელობით შევხვდეთ



# ჭიათურა

N8

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა საქმისათვის: იყავ მზად!

# პიონერი

№ 8

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ა. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი—ბავშვთათვის.

30 აპრილი 1931

წელიწადი მე-6

რედაქციის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22.

სახელგამი,

საბავშვო სექცია

## შინაარსი:


— პირველი მაისი
— სამაისო—გიორგი კაჭახიძე.
— პიონერთა ორგანიზაციები საკოლმეურნეო ესტაფეტის ფრონტზე—ს. ო-ლი.
— პირველი მაისი—გრიშა ესებუა
— პასუხს აძლევს პარტიას პიონერთა 4 მილიონიანი არმია—ა. გველესიანი.
— ყურადღება, პატაკს იძლევა საქართველო.
— პირველი მარცვლები — კალე ბობოხიძე.
— ღმერთების აღდგომის ზღაპარი —შ. თ—ლი.
— აღდგომის წინ—ირაკლი.
— ახალი ამოცანების წინ—კ. მ.
— პრაქტიკული ღონისძიებანი ლანჩხუთის ორგანიზაციის შესახებ.
— საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას ბ. კ. ო. დადგენილება ბავშთა საერთაშორისო კვირეულის ჩატარების შესახებ.
— ბოლშევიკური გაზაფხული.
— ამხ. ვანო სტურუა.
— ბეტუნა—მარიკა მიქელაძე.
— ნარევი.
— ჩვენი მტრები.




სარედაქციო კოლეგია: ს. აბულაძე (პ.-მგ. რედაქტორი), ქ. მელაძე, შ. თაბუკაშვილი, ა. მასარაძე, ალ. გველესიანი, გ. საათაშვილი.




# პირველი ★ მაისი

ემზადოს უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის საერთაშორისო კაპიტალიზმი, — ჩვენ ეს არ გვაშინებს. მისი ბედი მომავალ ბრძოლაში ისე გადაწყდება, როგორც ყოფილ რუსეთის იმპერიის მემამულეების და ფაბრიკანტების.

შრომასა და კაპიტალს შორის ბრძოლის ფრონტზე დაპირისპირებულია ერთმანეთის უსაშინელესი ორი მტერი: მახლობელი სიკვდილის მგრძნობი ბებერი ბურჟუაზია და ახალი ენერგიით და გამარჯვების რწმენით სავსე საერთაშორისო პროლეტარული არმიები.

რა საშუალებასაც გინდა მიმართოს კაპიტალიზმმა, დაწყებული ტექნიკის უმაღლესი მიღწევებით და გათავებული გამცემლური სოციალ-დემოკრატიით, — რევოლუცია აუცილებელია, ის მაინც უნდა მოხდეს კაპიტალისტური ქვეყნების დღევანდელი სოციალ - ეკონომიური მდგომარეობის კარნახით.

„სიმართლე ისაა, რომ რევოლუციონური ტალღა დღითი - დღე შეუჩერებლივ იზრდება მსოფლიოში. ის იზრდება კაპიტალიზმის გაუგონარ წინააღმდეგობათა გამწვავებისა და უსაშინელესი კრიზისის ნიადაგზე". კომინტერნის მე-6 კონგრესის და მისი მე-10 გაფართოებული პლენუმის ეს შეფასება სავსებით დადასტურდა.

ამიტომ 1 მაისის დღე კაპიტალისტურ ქვეყნებში უსათუოდ განსაკუთრებით გამწვავებულ პირობებში ჩაივლის, რადგან დამშეული მილიონები და უმუშევარი პროლეტარიატი ყოველთვის ცდილობდა და ახლაც გამოიყენებს ამ საერთაშორისო მუშათა დღეს, რომ შესაფერი ანგარიში წარუდგინოს მყვლეფელთა კლასს, მოახდინოს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი დარაზმული მებრძოლი რიგების დათვალიერება და გადასინჯვა კლასიური ბრძოლებისათვის მოსამზადებლად.

თუ რევოლუციონური პროლეტარიატი ემზადება პირველი მაისისათვის, არც ბურჟუაზიული კლასი, სოციალ - ფაშისტები და ყველა ჯურის რენეგატები არიან გულხელდაკრეფილნი, ისინიც ემზადებიან 1 მაისის დღესასწაულისათვის პროლეტარიატის მებრძოლი გამოსვლების საპასუხოდ, ემზადებიან მის ჩასაშლელად.

სასტიკი ბრძოლა, სისხლისმღვრელი შეტაკებები, დაჭრილ - დახოცილნი ქუჩებში, — ასეთი იყო სოციალ - გამცემლების დახმარებით, ბურჟუაზიის პასუხი რევოლუციონურ მუშათა კლასის ყოველი საპირველმაისო გამოსვლისთვის.

მაგრამ საერთაშორისო მუშათა კლასი არ დასთმობს ორმოცი წლის წინად მე-2 ინტერნაციონალის კონგრესზე დამტკიცებულ, სისხლით მოპოებულ საბრძოლველ დღეს — პირ-

## სამაისო

დღეს ქუჩებში გამოვდივართ,
ქუჩებს მოვალხენთ.
იგი ჩვენი რაზმელია,
დროშას რომ არხევს.
რიგი რიგს,
რაზმი რაზმს,
პიონერო, წინ!
სისხლის ფერი ბაირაღი
შევუთანხმოთ წიგნს.
დღეს მაისის პირველია;
ვზვერავთ ჩვენს რიგებს
როგორც რაზმი,
როგორც წყება
მოთადარიგე.
მოზარდებში გმირებივართ,
ტემპში გასული,
ხუთწლიანი გეგმის ირგვლივ
მხნედ დარაზმული.
ნურვინ იტყვის —
ვამაყობდეთ
მარტო გზებზე სვლით,
რგოლებში ვართ
და იქ ვიბრძვით
კომუნიზმისთვის.
ბრიგადულად,
რაზმეულად
ვაწყობთ სოცშეჯიბრს,
ცეხში მუშებს ვეხმარებით,
ჩვენც ვიწრთვნებით იქ.
დელი დელა, დელი დელა,
დელი დელასა,
მივცეთ დღეთა სიხარული
ძმებში ყველასა.
ჩვენში არის გაზაფხული,
სამაისო მზე
თავს ვუყრით და ვეხმარებით
ჩამორჩენილ ძმებს,
თავს ვუყრით და ვეხმარებით
ჩამორჩენილ დებს,
რომ მათშიაც გავაჩაღოთ
გაზაფხულის დღე.
მივყვებით და კვლავ გავყვებით
ლენინიზმის გზას,
ვყოფილვართ და კვლავ ვიქნებით
ბრძოლებისთვის მზად.
რიგი რიგს,
რაზმი რაზმს,
პიონერო, წინ,
სისხლის ფერი ბაირაღი
არ დავხაროთ ძირს!

გიორგი კაჭახიძე.



ბავშები ვარჯიშობენ საბავშო მოედანზე

ველ მაისს, და გამარჯვების შემდეგ, ისე, როგორც საბჭოთა კავშირში, გადააქცევს მას ზეიმის, სიხარულის და უდიდესი ისტორიული გამარჯვების დღედ.

პირველი მაისი უბრალოდ კი არ არის აღიარებული სადღესასწაულო დღედ. ამ საგაზაფხულო დღესთან დაკავშირებულია წარმოდგენა კაცობრიობის გაზაფხულზე, ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციის და ყოველგვარი მონობა - ჩაგვრის ბოლოს მოღებაზე.

ამიტომ პირველი მაისი საზეიმო და სასიცოცხლო დღესასწაულია.

მონარქიული წესწყობილების დროს მთელ რუსეთში, თითქმის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე, პირველი მაისი ფარულად ტარდებოდა ქალაქგარეთ. ყოველთვის იყო საშიშროება პოლიციის თავდასხმის, დაჭერის, გადასახლების და სხვა.

მაგრამ ამ მოვლენებმა ვერ შეუშალა ხელი პირველი მაისის დღესასწაულს, როგორც მშრომელთა დღესასწაულს.

1891-92 წლებში ჩასახული პროლეტარიატის მცირერიცხოვანი ავანგარდი მტკიცედ დაადგა რევოლუციონური ბრძოლის გზას და რეაქციონური მთავრობის ვერავითარი საწინაალმდეგო ზომები ვერ უშლიდენ ხელს ამ დღეს; რევოლუციონერთა ამაყ და გაბედულ გრძნობებს, გამოწვეულს მსოფლიო სამარცხვინო კაპიტალისტური უღლისაგან მშრომელთა დახსნის წყურვილით, და ისინი იბრძოდენ, რომ დაერაზმათ მთელი დედამიწის მოძმე პროლეტარიატი და განეხორციელებინათ პროლეტარიატის უდიდესი მასწავლებლის კარლ მარქსის მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

1 მაისი ყოველთვის მებრძოლი დღესასწაული იყო და არა მეშჩანობის მიერ რომელიმე არსებული ღმერთის ან მეფის პატივსაცემი დღე. ჩვენი დღესასწაულები უნდა ემსახურებოდეს საერთო საქმეს, უნდა ემსახურებოდეს კლასიური ბრძოლის ამოცანებს და ამიტომ ყველა ჩვენი დღესასწაული მებრძოლი რიგების დათვალიერებაა, სადაც პროლეტარიატი და მისი მოკავშირე საშუალო და ღარიბი გლეხობა, მშრომელნი მთელი კაპიტალისტური (კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური) ქვეყნებისა ერთიმეორეს ეხმარებიან, ორგანიზაციულად ყალიბდებიან კომუნისტური დროშის ქვეშ და მედგრად რაზმავენ რკინის ათასეულს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენი მოძმენი კაპიტალისტურ ქვეყნებში არ იქნებიან მარტოდ დარჩენილი, საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონები 1 მაისს აავსებენ ქუჩებს, რომ დაანახოს მთელ მსოფლიოს თავისი უძლეველი ნებისყოფა მსოფლიო რევოლუციისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ბრძოლა სულ სხვა სახისაა, ვიდრე სხვა ქვეყნების პროლეტარიატის ბრძოლა. ჩვენ უკვე განვახორციელეთ შრომის განთავისუფლება კაპიტალისგან და მთავარი ამოცანაა — შეუჩერებელი ბრძოლის წარმოება განთავისუფლებული შრომის მიერ გაშლილი სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის.

ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულება არ არის ადვილი. კლასიური მტერი არ ისვენებს, ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რომ ხელი შეუშალოს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის წინსვლას. ჩვენს ქვეყანაში დარჩენილი კაპიტალისტური ელემენტების გასანადგურებლად ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლამ კლასიური მტრის უსასტიკესი წინაალმდეგობა გამოიწვია. ამას მოწმობს აღმოჩენილი მთელი რიგი კონტრ - რევოლუციონური ორგანიზაციები „სამრეწველო პარტია“, რ. ს.-დ. მ. პ. საკავშირო ბიუროს წევრების გასამართლება, კონდრატიევველთა ჯგუფი და სხვა. ამასთან ერთად კაპიტალისტური ქვეყნების გააფთრებული ანტი - საბჭოთა კამპანია, შეიარაღებული თავდასხმის მზადება საბჭოთა კავშირზე და ზემოაღნიშნულ კონტრ - რევოლუციონურ ორგანიზაციებთან ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მმართველი წრეების და გამათახსირებელი მეორე ინტერნაციონალის და გადახვეწილი ემიგრაციის იდეური და მატერიალური კავშირი ნათლად მოწმობს მათ ზრახვებს და განადგურების მოახლოებას დიადი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისგან, რაც სასიკვდილო ლახვარს სცემს კაპიტალისტურ ანარქიულ მეურნეობას და აძლიერებს საერთაშორისო პროლეტარიატის კლასიურ შეგნებასა და დარაზმულობას.

ლენინური კომუნისტური პარტიის სწორმა გენერალურმა ხაზმა და მისი ცენტრალური კომიტეტის რკინისებურმა ურყევმა ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ, ამხ. სტალინის მეთაურობით, გაანადგურა ყოველგვარი გადახრა პარტიის გენერალური ხაზიდან და წაიყვანა საბჭოთა კავშირი უდიდესი გამარჯვებისკენ.

1 მაისს მსოფლიო პროლეტარიატი წითელი დროშით გამოვა ქუჩებში და მებრძოლის ხმით დაიძახებს:

— ძირს ბებერი ევროპა! გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

## გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო დღეს
## პირველ მაისს

# პიონერთა ორგანიზაციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკოლმეურნეო ესტაფეტის ფრონტზე

საკოლმეურნეო ესტაფეტას დიდი მოვალეობა აქვს დაკისრებული კოლმეურნეობათა განმტკიცებაში, ბოლშევიკური მეორე საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში.

საკოლმეურნეო ესტაფეტის ამოცანების წარმატებით შესრულებაში პარტიასთან და კომკავშირთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ნორჩ პიონერთა ორგანიზაციები.

აზერბეიჯანის ნ.-პ. ორგანიზაციამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია საქ. ნ.-პ. ორგანიზაცია საკოლმეურნეო ესტაფეტის წარმატებით ჩატარებისთვის. ამ მხრივ საქ. კომკავშირის ცეკას ბ.კ.ო.-მ უკვე გადასდგა სათანადო ნაბიჯები საკოლმეურნეო ესტაფეტის წარმატებით ჩატარებისათვის.

იმ მუხლების წარმატებით ჩატარებისათვის, რომელიც დადებულია აზერბეიჯანის კ.კ. ცეკას ბ.კ.ო და საქ. კომკავშირის ცეკას ბ.კ.ო. შორის საქ. კ.კ. ცეკას ბ.კ.ო. დასდო ხელშეკრულება კოლმეურნეობათა ცენტრთან და „საქართველოს ჩაი“-სთან, თუ როგორი დახმარება უნდა გაუწიონ მათ ნ.-პ. ორგანიზაციებს საკოლმეურნეო ესტაფეტის წარმატებით ჩატარებაში.

საქართველოს კ.კ. ცეკას ბ.კ.ო. ცენტრალურ ბიუროსთან ჩამოყალიბებულია საკოლმეურნეო ესტაფეტის შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს საკოლმეურნეო ესტაფეტის მსვლელობას.

5 აპრილიდან საკოლმეურნეო ესტაფეტის შტაბმა დაიწყო წერილობითი კონსულტაცია ადგილებიდან მისულ შეკითხვებზე.

საქ. კ.კ. ცეკას ბ.კ.ო. ცენტრალურმა ბიურომ კ.კ. ყველა რაიკომის ბ.კ.ო. ბიუროებს დაუგზავნა დირექტივები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებიათ მათ საკოლმეურნეო ესტაფეტის ფრონტზე.

ამ დირექტივის საფუძველზე რაიონის ბ.კ.ო. ზოგიერთმა ბიურომ უკვე გადასდგა სათანადო ნაბიჯები საკოლმეურნეო ესტაფეტის წარმატებით ჩატარებისათვის.

**გორის რაიონის** ნ.-პ. ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 30 მარტამდე შეწამლა და დაარკვია 760 ფუთი სიმინდი ნ.-პ. ორგანიზაციებმა მოაწყვეს კიდევ 12 ბაგა და სხვა.

**ჩხოროწყუს რაიონის** ნ.-პ. ორგანიზაციები დიდ მონაწილეობას იღებენ სიმინდის თესვაში; პიონერთა ორგანიზაციებმა დაამუშავეს 3 ჰექტარი, მოაწყვეს 40 შაბათობა, სადაც მონაწილეობა მიიღო 400 პიონერმა. შაბათობის მოწყობით ისინი დაეხმარნენ სხვადასხვა საქმის შესრულებაში 20 კოლმეურნეობას და ქვრივ-ობოლთა 10 ოჯახს.

**ზარე-კახეთის** რაიონის ნ.-პიონერთა ორგანიზაციამ დიდი მონაწილეობა მიიღო ახალი სესხის „ხუთწლედი 4 წელში“ რეალიზაციის საქმეში. მათ შეიძინეს კოლექტიურად 600 მანეთის ახალი სესხის ობლიგაცია.

**გარე-კახეთის** პიონერორგანიზაციამ დიდი მონაწილეობა მიიღო აგრეთვე პურის შეგროვებაში. მათ შეაგროვეს რაიონში 180 ფუთი ხორბალი.



ბავშთა [illegible]მზრდელობის ერთი მომენტი



ტრაქტორების ქარხანა „წითელი პუტილოვეცი“

პიონერთა ორგანიზაციებმა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის კარგი მოსავლიანობის მიზნით შეწამლეს და გაწმინდეს 300 ფუთი ხორბალი.

სიღნაღის რაიონის პიონერორგანიზაცია შეწამლავს და დაარკვევს საგაზაფხულო თესვისთვის 500 ფუთ ხორბალს და მთელ რაიონში მოაწყობს სხვადასხვა ხასიათის 150 შაბათობას.

**სიღნაღის რაიონის** ორგანიზაციებს მიზნათ აქვთ დასახული კ.კ. სახელობის სატრაქტორო სადგურის ფონდისათვის შეაგროვონ 500 მანეთი და სათანადო ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

თვითეული ნ.-პ. კოლექტივი შეაგროვებს 10 ფუთ ლითონს და სხვ.

**ვანის რაიონის** ნ.-პ. ორგანიზაციებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს სიმინდის დაფშვნაში. მათ დაფშვნეს 897 ფუთი სიმინდი საგაზაფხულო თესვისათვის, სოია კი 130 ფუთი.

ნ.-პ. ორგანიზაციებმა პურის დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარეს 485 ფუთი სიმინდი და სოია.

სენაკის რაიონის ნ-პ. ორგანიზაციებმა დაფშვნეს 3207 ფუთი სიმინდი საგაზაფხულო თესვისათვის, რაც უნდა მიეწეროს მათ დიდ აქტივობას საგაზაფხულო თესვაში. მოაწყვეს მთელს რაიონში 37 შაბათობა.

**ბურჯაანის რაიონის** პიონერ-ორგანიზაციებს მიზნად აქვთ დასახული საგაზაფხულო თესვისათვის შეწამლონ და დაარკვიონ 20.000 ფუთი ხორბალი.

**გურჯაანის რაიონის** ნ.-პ. ორგანიზაციებმა საგაზაფხულო თესვისათვის შეაგროვეს 200 ფუთი ხორბალი და 115 ფუთი სიმინდი. ისინი წყალდიდობასთან ბრძოლის მიზნით გამოიყვანენ 300 პიონერს, რომელნიც შეაკეთებენ გზებს და სხვა.

უნდა აღინიშნოს ამასთან ერთად ის ნაკლი, რომ რაიონის ბ.კ.ო. არ აწარმოებს წესიერ აღრიცხვას, თუ რა კეთდება პიონერორგანიზაციების მიერ საკოლმეურნეო ესტაფეტის ფრონტზე და თავის დროზე არ აწვდის ამის შესახებ ცნობებს საქ. ბავშთა სასოფლო-სამ. სადგურს.

აღნიშნლი ნაკლი დროზე უნდა გამოსწორდეს.

ს. ო—ლი.

## პირველი მაისი

ირგვლივ ტემპებს ტემპი ფარგლავს,
ჩამორჩენა ტემპს დაისევს...
ეს მაისი სულ აღარ ჰგავს
წარსულ წლების სხვა მაისებს!

სტრიქონებიც შეჯიბრს ახდენს,
ეჯიბრება მძიმე წერტილს...

ყოველ სიტყვას უნდა ახლდეს
თან პასუხი გადამწყვეტი.

ვერ ამღერდეს ლექსი ისე,
თუ მასალას არ ვგრძნობ ერთობ..

თვით ცხოვრება გაგარისხებს,
თუ არ ჰპოვე აქ საერთო..

გარღვევები ჯანში ტყდება...
ჩვენ ტემპებში ვდგევართ გულით;

დამკვრელების ავსებს წყებას
ძალა ახკომკავშირული!

შევეგებოთ მკვირცხლად აისს,
აღავძახოთ დამკვრელ მასებს,

და რიგები პირველ მაისს
მიუდგომლათ შეაფასებს.

მიღწევებში უფრო გვმართებს,
რომ დავსწეროთ შრომით მხარე;

კომკავშირში არვინ დავრჩეთ,
დღეს სოცშეჯიბრების გარეთ!

გადაავლეთ თვალი დაზგებს,
თუ აღარ ვქმნით წუთში წლიურს.

ლექტივებს ახალგაზრდებს
და მიღწევებს კოლექტიურს.

გრძნობ, ევროპავ, ძალას უჩვევს,
საბჭოეთი ახლოს გიზის,

როგორ გინდა გადაურჩე,
ამ მსოფლიო მწვავე კრიზისს?!

დაჰკრავს ჟამი და სიმძიმე
მკერდს ჩაგიმტვრევს ბოლოს მაინც,

და ჩვენსავით იზეიმებს
მანდ მშრომელი პირველ მაისს.

ირგვლივ ტემპი ტემპებს ფარგლავს,
მიღწევათა ფურცლებს გვივსებს,

დღეს მაისი სულ აღარ ჰგავს
წარსულ წლების სხვა მაისებს!

გრიშა ესებუა.

# პასუხს აძლევს პარტიას

## პიონერთა 4 მილიონიანი არმია

ა. წ. 16 იანვარს საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. კოსარევმა განაცხადა:

— ამხანაგებო! ლენინური კომკავშირის მეცხრე საკავშირო ყრილობას ვახსნილად ვაცხადებ.

— საბჭოთა კავშირის მთელმა პიონერორგანიზაციამ, რაზმებმა, და ბაზებმა დაიწყეს ნორჩ ლენინელთა საკავშირო საკოლმეურნეო ესტაფეტა.

— განაკვეთი მტკიცე მოგვეცა!

— ამიერ - კავკასიის პიონერორგანიზაცია წარმატებით ჩაება ამ საბრძოლო მუშაობაში.

— ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია გესაუბროთ იმაზე, რაც ამ გაკეთებულა; ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ცოცხალ ფაქტებს, რომელნიც ჩვენზე უკეთ გესაუბრებათ ნორჩ პიონერთა მუშაობის შესახებ.

— ბრძოლა პურისათვის —ბრძოლაა სოციალიზმისათვის! — სთქვა ჩვენმა ბელადმა ამხ. ლენინმა.

საბჭოთა სომხეთის პიონერები ამაზე ასეთ პასუხს იძლევიან:

მივცეთ კოლმეურნეობათ და ღარიბ საშუალო გლეხთა მინდვრებს საუკეთესო სათესი მასალები.

— ჩავატაროთ აქტიური მუშაობა მიწის კულტურული დამუშავებისათვის! საკოლმეურნეო ესტაფეტის თავის პატაკში ამიერ - კავკასიის შტაბისადმი სომხეთის პიონერორგანიზაცია შემდეგს იუწყება:

სომხეთის პიონერ-ორგანიზაციამ შეფობა აიღო თესლის წმენდაზე. მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების მეთოდებით მიმდინარეობს. რაზმებსა და ბაზებს შორის დადებულია სოცხელშეკრულებანი.

— ჩვენი მუშაობა თესლის გაწმენდისა და დახარისხების დარგში შემდეგში გამოიხატება:



წითელარმიელთა სარემონტო ბრიგადა

სოფლის პიონერთა და მოსწავლეთა დახმარებით 15.000 ფუთზე მეტი სხვადასხვა თესლია დასუფთავებული; ამაში: ბასარგეიჩაისკის პიონერებმა გაასუფთავეს ნახევარი, ამ რაიონში თესლის გასაწმენდად 7 დღით მობილიზაციაქმნილი იყო ყველა პიონერი და მოსწავლენი. ამავე რაიონში პიონერებმა ჩაატარეს 120 საუბარი, გაავრცელეს 579 ბროშურა გაზაფხულის თესვის შესახებ და გამოუშვეს 8 კედლის გაზეთი, რომელიც მიძღვნილი იყო პარტიის გადაწყვეტილებებისადმი თესვის კამპანიის შესახებ.

ეს ციფრები ცხადჰყოფენ, თუ როგორ ახსნა - განმარტებასა და სააგიტაციო მუშაობას აწარმოებდნენ პიონერები ბოლშევიკური გაზაფხულის შესახებ.

— სომხეთის პიონერორგანიზაცია შეუდგა ტრაქტორთა კოლონების ფრონტის ჩამოყალიბებას.

— აუცილებელია 5 ათასი მანეთის შეგროვება; ჯერჯერობით აქედან შეგროვილია 2 ათასი მანეთი.

— სამანსკის პიონერჯგუფმა საკუთარი სახსრებით შეიძინეს დელიჟანსკის კოლმეურნეობისათვის 3 გუთანი; ამჟამად კი ისინი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ სალსრების შესაგროვებლად, რომ ამით შეიძინონ იმავე კოლმეურნეობისათვის სათესი მანქანა.

— სტეპანოვსკის რაიონის პიონერებმა უკვე შეაგროვეს 2 ათასი ფუთი სასუქი.

ამხანაგებო! ზემოდ აღნიშნულ პატაკში მრავალი ფაქტია, მაგრამ ჩვენ აქ ყველას არ შევეხებით.

ახლა გავეცნოთ აზერბეიჯანის პიონერორგანიზაციის პატაკს.

— ქალ. ბაქოს ბიბი - ეიბათის რაიონის მე-17 რაზმმა დიდძალი თანხა შეაგროვა ტრაქტორისათვის.

— მარტუშინის რაიონის პიონერებმა მოაწყვეს 15 არტელი და 10 საცდელი ნაკვეთი გამოჰყვეს კარტოფილისათვის.

— კალამაშტრაგინის რაიონში პიონერებმა აგრონომის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბეს ბრიგადები კალიის საწინაალმდეგოდ.

ახალ პატაკს იძლევა საქართველოს პიონერორგანიზაცია.

— სოფ. სარბელის პიონერებმა გაასუფთავეს 4 ჰექტარი სათესი ფართობი.

— კასპის რაიონის პიონერებმა დაამზადეს 11 ათასი ფუთი სიმინდი და პური. დაახარისხეს 1.500 ფუთი სიმინდი და 150 ფუთი ლობიო.



საბავშო ბაღებში

— კახეთის რაიონში პიონერთა მონაწილეობით ჩატარდა 27 შაბათობა სიმინდის დასამზადებლად.

აი, ამხანაგო პიონერებო, მთელი რიგი ფაქტები, რომელნიც ლაპარაკობენ იმაზე, რომ ამიერ-კავკასიის პიონერორგანიზაციამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა საკოლმეურნეო ესტაფეტის მარშრუტისა და საგაზაფხულო თესვის კამპანიის ამოცანების შესასრულებლად.

თუმცა პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმით ამიერ - კავკასიის პიონერორგანიზაცია და მშრომელთა შვილები პატაკს აძლევენ პარტიასა და ხელისუფლებას, რომ ისინი მზად არიან სოციალიზმის იდეების განსახორციელებლად.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის პიონერორგანიზაციამ 16 იანვარს დასახა საკავშირო საკოლმეურნეო ესტაფეტის ვადა. მიწსახკომთან, კოლმ. ცენტრთან და ა.-კ. სოფლის კავშირთან დადებულ ხელშეკრულებაში ა.-კავკასიის პიონერორგანიზაციამ მთელი რიგი მოვალეობანი აიღო.

სახელდობრ:

იმ მიღწევებთან ერთად, რომელიც დღეს აქ მოვისმინეთ, მთელ რიგ რაიონებში საკოლმეურნეო ესტაფეტის ჩაშლის მაგალითები მოგვეპოვება.

ზოგიერთი პიონერბიურო დღემდე ცირკულიარების და მომართვების წერას არ გასცილებია.

ამხ. პიონერებო! დრო ცოტა დაგვრჩა! 23 მაისი საკოლმეურნეო ესტაფეტის უკანასკნელი დღეა.

ჩამორჩენილმა ორგანიზაციებმა მთელი ენერგია უნდა დასჭიმონ, რომ დაეწიონ წასწრებულებს და ამრიგად შეასრულონ საკოლმეურნეო ესტაფეტის მარშრუტი.

ა. გველესიანი.

# ყურადღება პატაკს იძლევა საქართველო

## ლაპარაკობს გორის რაიონი:

გორის რაიონმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საკავშირო საკოლმეურნეო ესტაფეტაში; ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის რაიონულმა ბიურომ ჩაატარა 22 პიონერ-ხელმძღვანელის მობილიზაცია საბჭოთა და კოლმეურნეობებში გასაგზავნად; მობილიზაციაქმნილმა ამხანაგებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსები. ხელმძღვანელებმა დიდი დახმარება გაუწიეს სოფლის პიონერჯგუფებს საგაზაფხულო თესვისათვის მომზადების საქმეში. საგაზაფხულო თესვა უკვე დაიწყო. პიონერებმა წინდაწინ შეამოწმეს სას.-სამეურნეო ინვენტარები. ამრიგად, გორის რაიონი დროზე მოემზადა თესვისათვის.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გორის რაიონის პიონერ-ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს მებაღეობის ფრონტზეც. იყო შემთხვევა, რომ მსხლისა და ვაშლის ხეებს მავნებლები გაუჩნდა, მაგრამ პიონერთა ორგანიზაციული მუშაობა, მავნებელთა წინააღმდეგ დროზე იქნა მიღებული სათანადო ზომები. მავნებლებთან ბრძოლის საწარმოებლად ჩამოყალიბებულია შტაბი, რომელშიაც შედიან მიწსახკომის, პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოწყობილია აგრეთვე პიონერთა ბრიგადები, რომელსაც ხელმძღვანელობენ აგრონომები და პიონერთა-ხელმძღვანელები. მავნებლებთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს.

## ვუსმინოთ—ლაპარაკობს გარე-კახეთის რაიონი.

როგორც გორის რაიონი, ისე გარეკახეთის რაიონიც აქტიურად ჩაება საკავშირო საკოლმეურნეო ესტაფეტაში.

აი, ფაქტებიც:

აღნიშნული რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთი თვის წინედ გაიგზავნა პიონერთა 20 ბრიგადა. რა გააკეთეს ბრიგადებმა?—აი, რა:

კოლმეურნე მშრომელები ჩააბეს 3 დამკვრელ ბრიგადაში, რომლებმაც შეაკეთეს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და სხვა მოწყობილობა.

ჩაატარეს 3 შაბათობა სარწყავი არხების გასაწმენდად, შეფობა აიღეს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებზე და სხვ.

გაასუფთავეს 4.000 კილო თესლი აგრონომების ხელმძღვანელობით და მოაწყვეს 4 საბავშო საცდელი სასოფლო-სამეურნეო არტელი.

## ახლა უსმინოთ თიანეთიის რაიონს.

აქ მუშაობა ფართოდ არის გაშლილი. პიონერ-ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს საკავშირო საკოლმეურნეო ესტაფეტის მარშრუტის მიხედვით.

პიონერთა თაოსნობით კოლმეურნეობაში გაერთიანდა 38 ინდივიდუალური მეურნე.

პიონერებმა შეფობა აიღეს ტრაქტორებზე და ამ მიზნით მოაწყვეს საღამოები საკუთარი ძალების მონაწილეობით. საღამოს შემოსავალი გადადვეს საგაზაფხულო თესვის ფონდში. ამას წინად ამ თანხით შეიძინეს ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

## მაგრამ რა გააკეთეს ამ მხრივ ტფილისის პიონერებმა?

უნდა ითქვას, რომ ტფილისის პიონერები საკოლმეურნეო ესტაფეტაში არამთლიანად ჩაებენ, ბევრმა არც კი იცის რაიმე ამის შესახებ. ასეთია, მაგ., ქალაქის რაიონში ფინსახკომის პიონერები, რუსთველის ჯგუფი, ავეჯეულობის ფაბრიკის არტელი, პიონერთა ჯგუფი და სხვა.

ეს სირცხვილია, ამხანაგებო! ეს სუსტი მხარე დამკვრელი ტემპებით უნდა გამოვასწოროთ. ამხ. პიონერებო, ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად.

## ამხ. პიონერებო!

### ბოლშევიკურად შევასრულოთ ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანები

### მწვავედ დავარტყათ ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას საკოლმეურნეო ესტაფეტისადმი



ხუთწლედი იმარჯვებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სწორი ხელმძღვანელობით. სურათზე: ურალის მანქანათმშენებლობის ცეხი.

## პირველი მარცვლები

მზემ გადმოღვარა ალერსი ციდან,
ხეებში ჩადგა სიცოცხლის წყალი
გადმოქუხს მთიდან წყარო პირწმინდა
და გაზაფხულით ხარობს მერცხალი.
ქედებს დაეტყო ახლა დაღრეჯა,
ცრემლებად ღვრიან ღელეს და ლანქერს;
მინდორზე ვხედავ იმედდაგლეჯილს
უფლებააყრილს შმაგ მოქალაქეს.
ველს საუცხოვო სურნელი უდის
და ხნულებს ასდისთ მზისაგან ორთქლი,
შემოსევია ტრაქტორთა გუნდი
ვრცელ მიდამოებს, ახლად შეფოთლილს.
გადაშლილია ყამირი-ჭალა,
სადაც დღესავით იმედებს ზრდიან,
კლუბი ახარებს ოჯახის ჯალაბს,
რომ კოლექტივებს უყურებს მზიანს.
ახლაც ნადების ზრდისაგან შური
სოფლის მავნებლებს ისევ აწვალებს,
კვლავ ხანჯალივით ამართავს სურვილს
ბობოლა გლეხი იმედდამწვარი.
მაგრამ... კლდესავით ამაგრებს ზღუდეს
კოლმეურნეთა მებრძოლი მკერდი,
რომ მშრომელების დალუპვის მსურველთ
მოახრევინონ გმირულად ქედი.
მზე ისევ აფრქვევს სიცოცხლეს ციდან
და არტელების ყვავილობს ეზო,
უწინ... ზამთარი თუ ფიფქებს სცრიდა,
დღეს კომუნიზმის მარცვლები ვთესოთ...

კალე ბობოხიძე.

## პიონერორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საკოლმეურნეო ესტაფეტის ჩატარებაში

# ღმერთების აღდგომის ზღაპარი

სამღვდელოება უქადაგებდა ხალხს — ქრისტე აწამეს, მოკვდა და მესამე დღეს აღსდგა. მაგრამ განა მარტო ქრისტე „აღსდგა“?

ხუთი ათასი წლის წინად ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე ფინიკიელები ცხოვრობდენ. მდინარე ადონისის ნაპირას იყო ქალაქი ბიბლი. ამ ქალაქში იყო დიდი ტაძარი და ქურუმები მსხვერპლს სწირავდენ ღმერთ ადონისს.

ერთი ბერძენი მეცნიერი ლუკიანი მივიდა ამ ქალაქში, შევიდა ტაძარში და აი რა ნახა: ტაძარში იყო კუბო, რომელშიც ღმერთ ადონისის ხის ქანდაკება ესვენა. ეს ნიშნავდა ადონისი მოკვდაო.

ბრბო იდგა კუბოსთან და ტიროდა; შემდეგ ასწიეს კუბო და ლოცვების გალობით წაასვენეს მიწისქვეშა გამოქვაბულში. კუბო იქ დატოვეს, კარი დაკეტეს.

მეორე დღეს დაიწყო ზეიმი.

ფინიკიელებმა ჩაიცვეს სადღესასწაულო ტანისამოსი და, როდესაც ერთმანეთს ხვდებოდენ, ეუბნებოდენ.

— ადონისი აღსდგა!

ასე დღესასწაულობდენ ფინიკიელები თავის აღდგომას. ეს იყო გაზაფხულზე, 5.000 წლის წინად.

მრავალი ათასი წლის წინად სპარსეთშიც უქმობდენ აღდგომას. სპარსელებს სწამდათ ღმერთი მითრა — „მზის უძლეველი ღმერთი“. მათ სწამდათ: მითრა 25 დეკემბერს დაიბადა, აწამეს, მოკვდა და შემდეგ მკვდრეთით აღსდგაო.

მითრას აღდგომას დღესასწაულობენ საგაზაფხულო ბუნიაობის დღეს, როდესაც დღე და ღამე თანაბარია. 40 დღეს გლოვობდენ ქურუმები მის სიკვდილს, უკანასკნელ ღამეს კი გამოდიოდენ და ეუბნებოდენ ხალხს:

— გიხაროდესთ: თქვენი ღმერთი აღსდგა მკვდრეთით!

ეგვიპტეში 2.900 წლის წინად ქვეყნიერების მხსნელად ღმერთი ოზირისი მიაჩნდათ. ეგვიპტელი ქურუმები ამბობდენ: ოზირისმა 28 წელი იცოცხლა, ხალხს შეასწავლა მიწათმოქმედება, სხვადასხვა ხელობა, შემდეგ ის მუხანათურად მოჰკლეს, მაგრამ აღსდგა მკვდრეთითო.

ეგვიპტელები საგაზაფხულო სამუშათა დაწყების წინ აწყობდენ ოზირისის ტანჯვისა და სიკვდილის უქმეს, ძაძებს იცვამდენ, ტიროდენ, ლოცულობდენ, მარხულობდენ და თითქოს დაეძებდენ ოზირისის სხეულის ნაწილებს. ხუთი დღის შემდეგ ქურუმები აცხადებდენ — ოზირისი აღსდგაო. ამის შემდეგ იწყებოდა ქეიფი.

საბერძნეთში ქვეყნიერების მხსნელად დიონისე მიაჩნდათ. ისიც „მოკვდა“ წამების შემდეგ, მაგრამ „აღსდგა მკვდრეთით“ და გაფრინდა ცაში. დიონისეს დღესასწაულიც გაზაფხულზე იყო, საგაზაფხულო მუშაობის დაწყების წინ.

ფრიგიაში სწამდათ ღმერთი ატისი, რომლის ქანდაკება ახლაც არის რომში. ისიც მოკვდა და შემდეგ კი „აღსდგა“; ამ ქანდაკებას ხელში და ქუდზე თავთავები აქვს. მას ეძახდენ „ძლიერ ნაყოფიერ“, „სიხარულის აღდგომას“.

როდესაც ზამთარი დადგებოდა, მაშინ ძალიან უჭირდა თავის რჩენა ადამიანს: ბევრი მცენარე აღარსად იყო, ბევრი ცხოველი მიიმალებოდა. ადამიანს კი სიცივე აწუხებდა, ტანს მეტი სითბო უნდოდა, უკეთესი კვება იყო საჭირო. ირგვლივ სიცივე, ყინული; მზე ძლივს ბჟუტავდა. მაშინდელი უვიცი, უცოდინარი ადამიანი ფიქრობდა: „ბუნება მოკვდა“.

მაგრამ გაზაფხულზე ყველაფერი გაცოცხლდებოდა, ამწვანდებოდა, აყვავდებოდა. ადამიანს უხაროდა: ბუნება აღსდგა, ის მომცემს სხვადასხვა ნაყოფსო. მაშინ ადამიანი დღესასწაულობდა ბუნების აღდგომას, გაცოცხლებას. ამ დღესასწაულს აღდგომა დაარქვეს.

ღმერთის სიკვდილსა და აღდგომას იმ ქვეყნებში უქმობდენ, სადაც მიწათმოქმედებას ეწეოდენ. პურის მარცვალი მოკვდებოდა, ე. ი. დაითესებოდა, შემდეგ „აღსდგებოდა“ — აღმოცენდებოდა მიწიდან. საგაზაფხულო თესვის დროს ყოველგვარად ცდილობდენ ისე მოეწყოთ, რომ მოსავალი კარგი ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან გაუნათლებელი იყვნენ, მიწათმოქმედების წესები პრიმიტიული იყო და სამიწათმოქმედო მანქანებიც არ ჰქონდათ, ამიტომ ფიქრობდენ — მოსავლის საქმე ღმერთზეა დამოკიდებულიო. თესლის გაღვივება, აღმოცენება გაუგებარი და სასწაულებრივი რამ იყო მაშინდელი ადამიანისათვის, და მან იწამა ნაყოფიერების ღმერთი, რომელიც მისი აზრით კვდება და შემდეგ აღსდგება.

თანამედროვე საზოგადოებაში აღდგომამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. აღდგომის დღესასწაული, ისე, როგორც სხვა დანარჩენი სარწმუნოებრივი დღესასწაული, კაპიტალისტური საზოგადოებაში მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის მტრების საქმეს ემსახურება. ამ დღესასწაულებში სამღვდელოება ცდილობს ის ჩაუნერგოს მშრომელებს, რაც ექსპლოატატორებისათვის არის ხელსაყრელი. ბურჟუაზიისათვის საჭიროა მშრომელებმა ითმინონ. აიტანონ კაპიტალისტური წესწყობილებისაგან მიყენებული ჩაგვრა - წამება. ამიტომ ქადაგებს სამღვდელოება — მიბაძეთ ქრისტეს, რომელიც თვითონ ითმენდა სხვებისაგაც ამას მოითხოვდაო.

როდესაც მუშები და გლეხები აჯანყდენ ყოფილ რუსეთში და დაამხვეს მეფის ხელისუფლება, ვის მხარეზე იყო სამღვდელოება? ცხადია, მშრომელების მტრების მხარეზე. სამოქალაქო ომის დროს მღვდლებმა და ბერებმა რაზმები შეადგინეს და თეთრებთან ერთად ებრძოდენ საბჭოთა ხელისუფლებას.

ეკლესია ყველგან, ყველა ქვეყანაში მხარს უჭერს კაპიტალისტებს, მჩაგვრელებს და ყველა ქვეყნის სამღვდელოება მოითხოვს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას. „ქრისტეს აღდგომა“ ხელს უწყობს სამღვდელოებას, ხელს უწყობს მშრომელთა რევოლუციონური სულის მიძინებას, და ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ.

შ. თ—ლი.



# ალდგომის წინ



იცით, რა არის აღდგომა?

თქვენ ის ალბათ გახსოვსთ. რამდენიმე წლის წინად ამ დღეს დილიდან საღამომდე რეკდენ ზარებს, საყდრების გარშემო უვლიდენ სანთლებით და გალობდენ: „ქრისტე აღსდგა“.

ახლა ჩვენში ამ დღეს უკვე აღარ დღესასწაულობენ. კიდეც დაგვავიწყდა, როდის არის ის.

რატომ მოხდა ასე? რა დღესასწაულია აღდგომა, ვის სჭირდება ის, რატომ არ დღესასწაულობენ ახლა ამ დღეს, კარგია თუ არა ეს?

## დავალება

ამ რამდენიმე წლის წინად ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიორი ვიყავი. დავდიოდი მთელს ქალაქში და ვაგროვებდი გაზეთისათვის საინტერესო ცნობებს. ვავსებდი გაზეთის იმ განყოფილებას, რომელსაც აწერია „ქრონიკა“.

— ხვალ აღდგომაა; უნდა გაიგოთ, ვინ ხვდება აღდგომას და როგორ. ამის შესახებ დასწერეთ გაზეთში, — მითხრა რედაქტორმა.

მეორე დღის დილა ადრიან ვიყავი ქუჩაში.

## ქუჩაში

დილით ქუჩებში სრული სიწყნარე სუფევდა, შუადღისას კი ქუჩა გამოცოცხლდა, ახმაურდა და გამვლელებით აივსო.

გამვლელთა შორის მრავალი მთვრალი შევნიშნე; ისინი ყვირილითა და გინებით იწვევდენ არევ-დარევას. გახშირდა აყალ-მაყალი და ჩხუბიც, მილიციელები უსტვენდენ და მოჩხუბართ აპატიმრებდენ. წავედი მილიციაში — ვნახო რა ხდება იქ.

## მილიციაში

მილიცია სავსე იყო მთვრალი მოქალაქეებით. მაგიდებსა და იატაკზეც ეყარენ ისინი, იგინებოდენ, შფოთავდენ.

მილიციელმა მითხრა: ახლა მთვრალ მოქალაქეთა რიცხვი უფრო ნაკლებია, ვიდრე გასულ წელსო.

გამოვედი მილიციიდან. უეცრად ჩემს წინ ჩაიქროლა „სასწრაფო დახმარების“ ავტომ, მას მოჰყვა მეორე, მესამე.

გავყევი სასწრაფო დახმარების ავტომობილს.

## „სასწრაფო დახმარება“

შევედი მორიგე ექიმის კაბინეტში მაგიდის ტელეფონები რეკდა:

— მოგვაშველეთ „სასწრაფო დახმარება“: სიმთვრალის დროს დასჭრეს მოქალაქე.

— მთვრალი მოქალაქე გადმოვარდა მეორე სართულიდან. მოგვაშველეთ „სასწრაფო დახმარება“: ვიღაც მოიწამლა.

მორიგე ექიმი უსმენს ტელეფონით, ჰკითხავს მისამართს, თითს აჭერს ელექტროზარს, — და ქალაქის სხვადასხვა კუთხისაკენ მიქრიან „სასწრაფო დახმარების“ ავტოები.

უეცრად კაბინეტის კარი შემოაღო მღელვარე ხალხმა. ორმა სანიტარმა საკაცით შემოიყვანა სისხლში დასვრილი გონებადაკარგული კაცი.

— ხელი გადასჭრა ტრამვაიმ, — მითხრა სანიტარმა.

მე დავინახე ხალათის ცალიერი სახელო.

დაჭრილს ღვინის სუნი ამოსდიოდა.

მე ვერ გავუძელ დაჭრილი ხელის ცქერას და ქუჩისაკენ გამოვბრუნდი.

## „აღსდგა ქრისტე“?

ძველად, რევოლიუციამდე, სკოლაში ბავშვებს ასწავლიდენ: თითქმის ორი ათასი წლის წინად ქვეყნად ცხოვრობდა ღმერთი იესო ქრისტე: იგი აწამეს და გააკრეს ჯვარზე, დასაფლავების მესამე დღეს კი აღსდგა და ამაღლდა ცაშიო.

ქრისტეს აღდგომის დღეს ხალხი დღესასწაულობდა მის მოსაგონებლად.

მართალია ეს ამბავი?

ხუთიათასი წლის წინად ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე ცხოვრობდენ ფინიკიელები. ეს ხალხიც დღესასწაულობდა საკუთარი ღმერთის ადონისის აღდგომას და ყოველ გაზაფხულზე ადონისის აღდგომის დღეს ერთმანეთს ულოცავდენ: „ადონისი აღსდგა“.

## ვინ აღსდგა?

სინამდვილეში, რომელი მათგანი ცხოვრობდა ქვეყნად და სიკვდილის შემდეგ აღსდგა თუ არა რომელიმე? არც ერთი. არავითარი ღმერთი ქვეყნად არ ყოფილა და სიკვდილის შემდეგ არავინ არ ამდგარა. ყველაფერი ეს ძველი ლეგენდაა.

## რატომ რეკდენ აღდგომას ზარებს?

ოდესღაც ადამიანმა არ იცოდა, რისგან წარმოსდგება ავადმყოფობა, წყალდიდობა, მზის დაბნელება და სხვა უბედურება. მას სწამდა, რომ უბედურებას ქვეყნად ბოროტი სულები აჩენენ. რომ ბოროტი სულები განედევნათ, უბედურების დროს ადამიანები ხტებოდენ ყვირილს, ხმაურს. ჩინეთში მიწის დაბნელების დროს ახლაც გროვდება ხალხი და ყვირიან, ხმაურობენ.

რევოლიუციამდე ჩვენშიც აღდგომის კვირაში რეკდენ ზარებს, ამ ზარის ხმით უნდოდათ განედევნათ ბოროტი სულები.

## ვის სჭირდება რელიგია?

ყველა ქვეყანაში მღვდლები, რაბინები, მოლები ასწავლიან მუშებს და გლეხებს — იყავით წყნარად და არ აუჯანყდეთ მეფესა და მყვლეფელებსაც.

ეკლესია ყოველთვის მყვლეფელთა დამცველი იყო. ყოველ მხარეში სამღვდელოება ამაგრებს კაპიტალიზმს.

## ძირს აღდგომა!

საღამოს სუფთად გადავწერე აღდგომის დღეს მომხდარი შემთხვევები. აქ იყო; მკვლელობა, დასახიჩრება, მოწამვლა და მრავალი სხვა ბოროტმოქმედება. წერილს სათაურად დავაწერე „ძირს აღდგომა, ლოთობა და ლოთობა“ და მეორე დღეს გაზეთში გამოვაქვეყნე.

ირაკლი.

# საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას ბ. კ. ო. დადგენილება

## ბავშთა საერთაშორისო კვირეულის ჩატარების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ქვეყნებში 1-დან 14 მაისამდე და საბჭოთა კავშირში 2-დან 9 მაისამდე ჩატარდება ბავშთა საერთაშორისო მე-11 კვირეული, რომელიც უნდა გახდეს საქართველოს პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის საბრძოლო შემოწმებად, მუშაობის შემდეგ დარგებში:

ა) ბავშთა ინტერნაციონალურ, კლასიური პროლეტარული აღზრდის, საერთაშორისო კავშირის, უცხოეთის ბავშთა კომჯგუფებისადმი დახმარების საქმეში.

ბ) პიონერთა თითოეული რაზმის, რგოლის და თითოეული პიონერის მიერ საკ. ალკკ მე-9 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების.

გ) საბჭოთა ფართო საზოგადოებრივობა ჩაბმულ უნდა იქნეს პიონერთა ორგანიზაციებისა და სკოლებისათვის კონკრეტული დახმარების გასაწევად.

ბავშთა მე-11 საერთაშორისო კვირეულისათვის აუცილებელია, რომ პიონერთა რიგებში ჩაებან ახალი ასეული და ათასეული ბავშები. აუცილებელია პიონერთა მთელი მასის და მოსწავლეების ჩაბმა 5 წლედისათვის, კოლექტივიზაციისათვის, სკოლების პოლიტექნიზაციისათვის და სოციალისტური კადრებისათვის ბრძოლაში.

ბავშთა საერთაშორისო დღის წინაშე მდგარი ამ ძირითად ამოცანების წარმატებით გადაჭრის მიზნით წინადადება მიეცესთ ბავშთა კომორგანიზაციების ყველა რაიონულ და საქალაქო ბ.კ. მოძრაობის ც. სახლს, ბავშთა ტექნიკის ც. სახლს და სას.-სამ. სადგურებს, მოზარდ მაყურებელთა თეატრებს, ადგილობრივი გაზეთების და ჟურნალების რედაქციებს — დაუყოვნებლივ შეუდგეხ მოსამზადებელი მუშაობის გაშლას და ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1) მესამე თაობის შეკრებებზე, რაიონულ კონფერენციებზე, ინტერნაციონალურ საღამოებზე ფართოდ აუხსნან და განუმარტონ ბავშთა მე-11 საეოთაშორისო დღის მნიშვნელობა, მოეწყოს ინტერნაციონალური მუშაობის შემოწმება, ბრძოლა ნაციონალისტური განსხვავების წინააღმდეგ, დახმარება დასავლეთის ბავშთა კომჯგუფებს. ამ მუშაობის გასაძლიერებლად დაისახონ ღონისძიებანი და ბავშთა საერთაშორისო დღის ჩატარებას დაუკავშირდეს ყველა რაზმთან ინტერნაციონალური კუთხეების გახსნა, უცხოეთის პიონერებისათვის წერილების გაგზავნა, საერთაშორისო ბავშკორობის იდეების პოპულარიზაცია, გერმანული ენის შემსწავლელი წრეების მოწყობა და გერმანული პიონერთა ჟურნალის—„დიტრმსელის" ფართოდ გავრცელება.

2) დამზადდეს საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის პატაკი გერმანიის საშეფო ვიუტენბერგის ორგანიზაციისათვის გასაგზავნად, გამოწვეულ იქნენ ვიუტენბერგის პიონერები საერთაშორისო რევოლუციონურ-სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხელშეკრულება გამოიცეს 3 ენაზე და დაეგზავნოს ყველა რაზმს.

3) გამოწვეულ იქნეს ამიერკავკასიის ძმურ რესპუბლიკათა პიონერთა დელეგაციები, დაიდოს მათთან ინტერნაციონალური ხელშეკრულებანი და მოხდეს მუშაობის გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა.

4) ყველა რაზმთან და სკოლასთან გამოიყოს ბრიგადები პიონერებისა და მოწაფეების მიერ სოცმშენებლობაში მონაწილეობის მიღების და საკ. ალკკ მე-9 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების შესამოწმებლად.

5) პიონერები და მოსწავლეები 100 პროც. უნდა ჩაებან სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში. მუშების, ინჟენერ-ტექნიკოსებისა და აგრონომების შვილები მასიურად იქნენ ჩაბმულნი სკოლის პოლიტექნიზაციის, საყ.-სავ. სწავლების, წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის ამოცანების პრაქტიკულ საქმიანობაში და სხვ. სასოფლო რაზმებმა უნდა მოაწყონ სოფლის მეურნეობაში სოცხელშეკრულების შესრულების მასიური შემოწმება.

6) მოეწყოს პიონერებისა და მოწაფეების სამხედრო სწავლების საქმის მასიური შემოწმება, დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებანი ამ საყურადღებო მუშაობის გასამაგრებლად.

7) წინადადება მიეცეს მოზარდ მაყურებელთა თეატრებს—მოამზადონ სპეციალური ინტერნაციონალური საღამოები მოხსენებით კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშთა მე-11 საერთაშორისო დღის და საერთაშორისო ბავშთა კომმოძრაობის შესახებ და სხვ.

8) ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დღეებში ჩატარდეს პიონერებისა და მოსწავლეების მასიური ექსკურსიები—წარმოებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მუზეუმებში და ქალაქგარეთ.

9) მოეწყოს პიონერთა მასიური დემონსტრაცია-კარნავალი (კარნავალის ჩატარების გეგმა დამუშავდეს დამატებით).

10) გაიხსნას ბავშთა შემოქმედების გამოფენა, დაევალოს ბავშთა ცენტრ. ტექნიკურ სადგურს მოაწყოს სპეციალური გამოფენა ტექნიკის დარგში.

11) დაევალოს ბავშთა კომუნისტური მოძრაობის სახლს შეადგინოს თეზისები მომხსენებელთათვის ბავშთა მე-11 საერთაშორისო კვირეულის შესახებ.

12) ბავშთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოიცეს მოწოდება ბავშებისა და საზოგადოებრივობის მიმართ. მოწოდების შედგენა დაევალოს ბავშთა კომ. მოძრაობის სახლს.

13) დაევალოს ბავშთა რადიოგადაცემების რედაქციებს დაიწყონ ბავშთა საერთაშორისო დღისათვის მზადების გაშუქება: მოეწყოს ამიერკავკასიის ქალაქების ინტერნაციონალური გამოძახილი.

14) პარტიულმა, საბჭოთა და კომკავშირულმა პრესამ ფართოდ გააშუქოს პიონერ. ორგანიზაციების მუშაობა ბავშთა საერთაშორისო მე-11 კვირეულის ჩატარების შესახებ, პრესას მასალები უნდა მიაწოდონ პიონერთა ხელმძღვანელმა ამხანაგებმა და სხვა.

15) ბავშთა მე-11 დღის საერთაშორისო ჩატარება მჭიდროდ დაუკავშირდეს პირველი მაისისა და სოცშეჯიბრების 2 წლის თავის ჩატარებას.

**საქ. ა.ლ.კ.კ. ცეკას ბ.კ.ო ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარე: ჩალაძე.**



ბავშთა შრომის ექსპლოატაცია ჩინეთში



ქალაქელ პიონერისა და სოფლის კოლმეურნე პიონერის შეხვედრა

# ბოლშევიკური გაზაფხული

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამდგარი გაზაფხული ხუთწლედის მესამე-გადამწყვეტი წლის გაზაფხულია.

უკვე დაიწყო ამწვანება საბჭოთა კავშირის მხარეებმა. ამ გაზაფხულმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს დიადი გეგმის საბოლოო გამარჯვება.

1931 წ. მთელ საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობებში უნდა გავაერთიანოთ გლეხურ მეურნეობათა 50 პროც., უნდა დაითესოს 143 მილ. ჰექტარი მიწა, ა.-კ.-ში კი კოლმეურნეობებში გლეხურ მეურნეობათა 25 პროც. უნდა იქნეს გაერთიანებული.

რატომ ვეძახით ამ გაზაფხულს, როგორც შარშან ვეძახდით, ბოლშევიკურს? იმიტომ, რომ ჩვენი მინდვრები, ყანები, ისე, როგორც ფაბრიკა-ქარხნები, ბოლშევიკური გეგმებით, ბოლშევიკური ხელმძღვანელობით მუშაობენ.

მიუხედავად შარშანდელი გაზაფხულის სიძნელეებისა, ღარიბი და საშუალო გლეხობა მილიონობით შედიოდა კოლმეურნეობებში. კულაკობა უბრძოლველად არ მიდიოდა საბჭოთა სოფლიდან. მათ მიმართეს ტერორს, კოლმეურნეობების ქონების გადაწვას,ავრცელებდენ კონტრრევოლიუციონურ ჭორებს, რითაც გლეხობის ნაწილმა ათასობით გაწყვიტა საქონელი, რომ კოლმეურნეობაში არ შეეყვანა. ბევრ ადგილას, როგორც სტალინმა სთქვა, ჩვენს ამხანაგებს წარმატებების გამო თავბრუ დაესხათ და ძალით მიდენიდენ გლეხებს კოლმეურნეობებში.

პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრებმა საგრძნობლად ავნო კოლექტივიზაციის საქმეს და გამოიწვია გლეხობის ნაწილის გასვლა კოლმეურნეობებიდან, მაგრამ მტკიცე და გამობრძმედილი კოლმეურნენი კი დარჩენ.

მიუხედავად ასეთი შეცდომებისა, შარშან თესვის გეგმა მაინც შესრულდა და 31 მილ. ჰექტარი დაითესა.

მეორე გაზაფხულს ჩვენ უფრო მეტი გამოცდილებით ვხვდებით. მესამე წელი გვაძლევს საშუალებას სოფლის მეურნეობაში შევასრულოთ ის, რის შესრულებაც 5-წლედის ბოლოსათვის ვფიქრობდით.

143,3 მილ. ჰექტარი უნდა დაგვეთესა 5-წლედის მიხედვით 1933 წლისათვის. 143 მილ. ჩვ დავთესავთ 1931 წელს, აქედან 101 მილ. მარტო ამ გაზაფხულზე.

ჩვენ ტყუილად კი არ ვეძახით ამ გაზაფხულს ბოლშევიკურ გაზაფხულს და თესვას ბოლშევიკურ თესვას—ამ გაზაფხულმა უნდა ჩააბას კოლმეურნეობებში მრავალი მილიონი გლეხი, რომელნიც უნდა დარწმუნდენ, რომ კოლექტიურად მუშაობა, კოლმეურნეობა უფრო სასარგებლოა, ვიდრე ინდივიდუალური დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობა.

უკანასკნელ ხანებში კოლმეურნეობაში შევიდა მილიონამდე გლეხური მეურნეობა. რატომ? იმიტომ, რომ ისინი დარწმუნდენ,—არა სიტყვით, არამედ საქმით,—კოლმეურნეობების წარმატებებში.

101 მილ. ჰექტარში 50 მილ. დასთესავენ კოლმეურნეობანი, 7.200 მილ. საბჭოთა მეურნეობანი. ამგვარად ნახევარზე მეტი დაითესება სოციალისტური სექტორის მიერ. ჩვენ ყოველი ძალღონით უნდა გავაძლიეროთ ტეხნიკური მცენარეების გამრავლება.

მცენარეები მოგზაურობენ. კარტოფილი მე-18 საუკუნეში ჩამოიტანეს ამერიკიდან, იაპონური სოია — შორეული აღმოსავლეთიდან. რატომ არ შეგვიძლია ჩვენი მცენარეების სხვადასხვა რაიონში მივლინება! მაგალითად, დასავლეთ საქართველოში იზრდება სიმინდი, მის გვერდით — ფორთოხალი და ბალბა, რისგანაც ძვირფას ვარდისფერ ზეთს ამზადებენ. დავარღვიოთ მათი მეზობლობა და სიმინდი გადავასახლოთ აქედან უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, რადგან სიმინდი იქაც კარგად ხარობს. იხარონ იქ ერთად ქერმა, სიმინდმა, ბამბამ და კანაფმა. მაგრამ ქერი კარგად ხარობს ჩრდილოეთ მხარეშიაც, ამიტომ ქერი იქით გადავიყვანოთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიასა და უკრაინაში უფრო მეტი ბამბა მოვიყვანოთ.

მაშასადამე, ფართო გზა ბამბას. გაიზარდოს მანუფაქტურა უკრაინის და თურქესტანის მინდვრებზე!

გზა ტექნიკურ კულტურას დასავლეთ საქართველოში!

წრევანდელმა გაზაფხულმა უნდა უზრუნველყოს ნედლეულით ჩვენი ფაბრიკები.

ჩვენ ვადიდებთ სათეს ფართობს:
ბამბის ფართობს 114 პროცენტით
სელისას „ 116 პროცენტით
კანაფისას „ 125 პროცენტით



„ბოლშევიკურ გაზაფხულის" გმირები

დაიმახსოვრეთ საგაზაფხულო თესვის ციფრები. უნდა დაითესოს 101 მილ. ჰექტარი. ამაში 57200 ჰექტარი სოციალისტური სექტორისაა, 50 პრ. კოლექტივიზაციის.

სოფლის სოციალისტური სექტორი —ეს საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობებია. მთელ საბჭოთა კავშირში სამანქანო - სატრაქტორო სადგურები იმუშავებს უფრო მეტი ენერგიულობით და დარაზმულობით.

ეს სადგურები კოლექტივიზაციის საყრდენია, რადგან ძლიერი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გარშემო ყალიბდებიან ახალი კოლმეურნეობანი და ახალი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები.

ხუთწლედის მესამე წელი აარსებს 1000 ახალ სადგურს, მათგან 812-ს— გაზაფხულისათვის.

— **კოლმეურნევ, ტრაქტორზე,** — ამბობს პარტია ახლა.

— **ტრაქტორზე!** — ეძახიან კოლმეურნეებს „ტრაქტრსტროი"-ს და „წითელი პუტილოველი"-ს, მუშები.

— **ტრაქტორზე!** — იძახიან სამანქანო - სატრაქტორო სადგურები.

140 ათასმა კოლმეურნემ უნდა შეკაზმოს ამ წელს რკინის ცხენები. იმათ უნდა ისწავლონ და ისე, როგორც ჩვენი ქარხნების მუშებმა, სოციალისტურად და დაკვრითი წესით ჩაატარონ ეს მუშაობა. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ყველა ძალის მობილიზაცია.

კოლმეურნეთა უმრავლესობა კოლმეურნეობებში შესვლამდე საშუალო ინდივიდუალური მეურნე გლეხი იყო. უნდა დავეხმაროთ, რომ დღევანდელი თითოეული ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნე გლეხი ხვალ გახდეს კოლმეურნე. როდესაც ვემზადებით გაზაფხულისათვის, უნდა მოვაწყოთ კოლმეურნეთა საერთო კონფერენციები და ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ამ ამოცანის შესრულებას.

## ჩვენ საგაზაფხულო თესვის მონაწილენი ვართ

უკვე დადებულია ხელშეკრულება პიონერთა ცენტრ. ბიუროსა, განათლების კომისარიატსა და კოლმეურნეობის ცენტრსა და მიწსახკომს შორის.



ხელშეკრულება ორ ნაწილად იყოფა; ის შეიცავს 1. პიონერების და მოსწავლეების მოვალეობებს და 2. მიწსახკომის და კოლმეურნეობის ცენტრის მოვალეობებს.

ხელშეკრულება დადებულია ერთი წლით. ხუთწლედის მესამე წელს გასაგებია, თუ გაზაფხულზე რატომ გვაქვს ასეთი დიდი ამოცანა სოფლად შესასრულებელი.

გაზაფხულზე ჩვენს მოვალეობას შეადგენს მრავალი მილიონი ღარიბი და საშუალო გლეხის კოლმეურნეობებში გაერთიანება.

ვინ არიან თქვენი მშობლები? იგივე ღარიბი და საშუალო გლეხები. თუ თქვენი მშობლები უკვე გახდენ კოლმეურნენი, — თქვენი ამხანაგების მშობლები ჯერ კიდევ არ არიან კოლმეურნეობებში გაერთიანებულნი.

თუ თქვენი სოფელი მთლიანად კოლმეურნეობაშია,—მეზობელი სოფელია ჩამორჩენილი, და ჩვენს მოვალეობას შეადგენს ჩამორჩენილთა გაერთიანება და წინ წასულთა დასაწევად დახმარება.

ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა კულაკობასთან, მის ყოველ ანტისაბჭოთა გამოსვლასთან, ამისათვის კი საჭიროა ვიყოთ მომზადებულნი.

საგაზაფხულო მოსამზადებელი მუშაობა ბავშებს ჯერ კიდევ სკოლებში მოუსწრებს. სკოლაში ჩვენ უნდა გავეცნოთ თქვენი კოლმეურნეობის ან სოფლის საწარმოო გეგმას. მაგრამ ყველამ იცით, რა არის აგრომინიმუმი? ასეთ შეკითხვაზე ერთმა ბავშმა უპასუხა: აგრომინიმუმი მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი ბელადიაო.

აგრომინიმუმი — ეს უსაჭიროესი აგრონომიული გაუმჯობესებანია, რის გატარება შეიძლება ყოველ მეურნეობაში. ამიტომ თითოეულმა სკოლამ უნდა დაამუშაოს აგრომინიმუმი. ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს, უპირველეს ყოვლისა, რა გაუმჯობესების შეტანაა საჭირო მეურნეობაში.

## ტონა — სკოლაზე

ტონა ათასი კილოა. ამდენი მარცვალი უნდა გადაარჩიოს თითოეულმა რაზმმა მიწსახკომთან დადებული ხელშეკრულების ძალით. ამგვარად საგაზაფხულო თესვამ უნდა მიიღოს 100 ათასი ტონა გადარჩეული მარცვალი.

## საცდელი ჰექტარი

თითოეულმა სკოლამ უნდა იკისროს საცდელი ჰექტარი მიწის მოწყობა სოფლის მეურნეობის დარგში. მისი მოწყობა საჭიროა გაზაფხულზე. თუ ამას განვახორციელებთ, მივიღებთ: ზეთის მომცემი კულტურის 5000 ნაკვეთს, ბამბის 2500 ნაკვეთს, ბოსტნეულის 15000 ნაკვეთს, 500 ბაღჩას და სხვა. აი რის მიღება შეიძლება საბჭოთა კავშირში თითოეულ სკოლასთან არსებულ ერთ ჰექტარ საცდელ მიწის ნაკვეთზე.

## საკავშირო საკოლმეურნეო ესტაფეტა

დაიწყო საკავშირო კომკავშირის მე-9 ყრილობის გახსნის დღეს, გათავდება 1931 წლის 23 მაისს, იმ დღეს, როდესაც პიონერორგანიზაციამ მიიღო ლენინის სახელწოდება.

6 წელია პიონერები ატარებენ ლენინის სახელწოდებას და ჰქვიათ ლენინელები. ამ ექვსი წლის განმავლობაში პიონერორგანიზაციები რამდენიმეჯერ გაიზარდენ და დღევანდელმა პიონერებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი ღირსი არიან ჩვენი პარ-



სამუშაოდ გასული „რკინის ცხენები"

ტიის უდიდესი ბელად- ...სხილოწო-
დებით.

აი რას სწერს ამ ესტაფეტაზე პიო-
ნერთა ცენტრალური ბიურო „პიონერორგანიზაციები ენერგიულად უნდა ჩაებან ბოლშევიკური მეორე გაზაფხულის გასატარებელ ბრძოლაში და დაეხმარონ პარტიასა და კომკავშირს კოლექტივიზაციაში. ამისათვის ეწყობა საკავშირო პიონერული საკოლმეურნეო ესტაფეტა.

საკოლმეურნეო ესტაფეტა 8 მიმართულებით გატარდება. ბრძოლა 1) მთლიანი კოლექტივიზაციისათვის, 2) კოლმეურნეობებში სოციალისტური შრომისათვის, 3) სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის, 4) მარცვლეულობის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, 5) ბოსტნეულისა და ხილეულისათვის, 6) ბამბის, სოიასა და სელისათვის, 7) საკვებისათვის და 8) კულტურისათვის.

მიმართულება რვა არის, მაგრამ ყველას კი არ უნდა მოკიდოს ხელი თითოეულმა პიონერრაზმმა.

თითოეული პიონერრაზმი ასრულებს იმ დარგს, რომელიც შეეფერება მის რაიონს. მაგალითად, მარცვლეულობის გაუმჯობესებას ხელს ჰკიდებენ მარცვლეულობის რაიონის პიონერჯგუფები, ბამბას, სელს—ა.-კავკასია და ასე სხვა.

ამგვარად, საკოლმეურნეო ესტაფეტაში ჩაბმული პიონერები თავის დარგში ასრულებენ მიწსახკომთან დადებულ ხელშეკრულებას და მედგრად მიდიან წინ.

მაშ, ამხანაგო პიონერებო, ერთიანი ძალღონით წინ, საკოლმეურნეო ესტაფეტის შესასრულებლად.

წინ, დამკვრელი ბოლშევიკური მეორე გაზაფხულის წარმატებით შესასრულებლად.



13 აპრილს ღამის 10 ს. 40 წ. მოულოდნელად გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი ამხ. ვანო სტურუა

# ამხ. ვანო სტურუა

## ბიოგრაფიული ცნობები

ამხ. ვანო სტურუა დაიბადა 1870 წელს ოფ. კულაშში (ყოფ. ქუთაისის გუბერნია) არიბი გლეხის ოჯახში. ხუთი წლის ვანოს უკვდა დედა და ბავშობა გაატარა ობლობასა და სიღარიბეში.

1883 წელს შევიდა კულაშის ორკლასიან სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1889 წელში. ვანოს მამამ გაყიდა ერთი ქცევა მიწა და ნოემბერში 17 წლის ვანო მამასთან ერთად გამოემგზავრა თბილისში, სადაც სურდა შესულიყო თბილისის ყოფ. მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში, მაგრამ ვერ მოახერხა და ამის შემდეგ იძულებული გახდა დაეწყო მუშაობა ამიერ-კავკ. რკინის გზების მთავარ სახელოსნოში.

1892 წლიდან ამხ. ვანომ დაიწყო მესამე დასელების ნაწარმოებების, მათ შორის ჟურნალ „კვალი“-ს კითხვა. 1896 წლიდან სამჭედლო საამქროს ზეინკალმა არჩილ არაივაშვილმა იკისრა სახელოსნოს მუშების და მათ შორის ამხ. ვანოს ორგანიზაციული შეკავშირება. შემდეგში გამოირკვა, რომ არავიაშვილი მათთან მიგზავნილი იყო ჟურ. „კვალი“-ს თანამშრომლების ამხ. ფილიპე მახარაძის და ლუზინის მიერ. ლუზინი იყო რუსეთიდან პოლიტიკურ საქმეზე გადმოსახლებული, რომელმაც თან ჩამოიტანა ამხ. მიხა ცხაკაიას წერილი. ამ წერილში ამხ. ცხაკაია მოითხოვდა ჩვენში მუშათა წრეების ჩამოყალიბებას.

ამხ. ვანო რ.ს.დ.მ.პ. დაარსების პირველ ხანებიდანვე ამ პარტიის წევრი იყო. 1903 წლიდან კი განხეთქილების დღიდანვე ბოლშევიკებთან დაიწყო მუშაობა.

პირველი მუშათა წრე, რომელშიაც ვანოც იღებდა მონაწილეობას ითვლებოდა ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. ორგანიზაციის ჩამოყალიბების დასაწყისად. წრეში შედიოდენ ამხ. ზაქრო ჩოდრიშვილი, გიორგი ჩხეიძე, მიხო ბოჭორიშვილი, დავით როსტომაშვილი და სხვები. ამხ. ვანო იყო მუშათა პირველი წრის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ამხ. ვანო მონაწილეობას იღებდა და ხელმძღვანელობდა თბილისში რკინის გზაზე 1898 წელს მომხდარ ორდღიან გაფიცვას, ხელმძღვანელობდა აგრეთვე 1900 წლის რკინისგზელთა გაფიცვას, რომელიც 16 დღეს გაგრძელდა. 1899 და 1900 წლებში მონაწილეობდა თბილისში არალეგალურად მოწყობილ პირველი მაისის დღესასწაულებში.

ამხ. ვანო იყო ერთი მონაწილე ორგანიზატორი და დროშის მატარებელი 1902 წლის 21 აპრილს ბაქოში ლეგალურად გამართულ საპირველმაისო დემონსტრაციის 1901 წლიდან 1903 წლის ოქტომბრის ბოლომდე ამხ. ვანო მუშაობდა ბაქოში—შავ ქალაქში, მანთაშევის ქარხანაში. იყო ბაქოს კომიტეტის წევრი.

1903 წლის ოქტომბრიდან ამხ. ვანო გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში, დარჩა ბაქოში და დაიწყო მუშაობა ამხ. ლადო კეცხოველის მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში ზემო-ტაზაპირის ქუჩაზე. სტამბა იყო საკმაოდ დიდი.

1904 წლის გაზაფხულზე—ამბობს თავის ავტობიოგრაფიაში ამხ ვანო—ამხ. კასიანის მოთხოვნით ჩვენ ბოლშევიკურ გამოცემებისათვის მოვაწყვეთ საიდუმლო სტამბა. 1906 წლის იანვარში ბოლშევიკების ცეკას განკარგულებით მოვახდინეთ ჩვენი სტამბის ლიკვიდაცია და გადავაგზავნეთ ის პეტერბურგში“.

1905 წლის აგვისტოში ამხ. ვანო გაემგზავრა სამხრეთ რუსეთში. მას უხდებოდა მთელ რიგ ქალაქებში ლიტერატურის (ახალი „ისკრა“ მაშინ იბეჭდებოდა ბაქოში) დაგზავნა. იყო მოსკოვში, ორეხოვო-ზუევოში.

1905 წლის რევოლიუციის დროს ამხ. ვანო პირველად მუშაობდა სამტრედიაში, ხოლო შემდეგ გაემგზავრა ბაქოში.

პეტერბურგის ბოლშევიკური ფრაქციის დავალებით 1907 წელს ამხ. ვანომ შეასრულა ტერორისტული აქტი. მოჰკლა პროვოკატორი, რომელმაც არა ერთი რევოლიუციონერი ჩაუგდო ხელში თვითმპყრობელობის ჟანდარმებს. მეორე ტერორისტული აქტი ამხ. ვანომ ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით და ამხ. სპანდიაროვის მითითებით შეასრულა ბაქოში.

ამის შესახებ თვით ვანო ავტობიოგრაფიაში ამბობს:

„მე პროფესიონალური ტერორისტი არ ვყოფილვარ, მაგრამ პარტიის დავალებებს ვასრულებდი“-ო.

ამხ. ვანო დაპატიმრებული იყო სხვადასხვა დროს 1907, 1910, 1911, 1919 და 1921 წლებში. უკანასკნელად ორჯერ დაპატიმრებული იყო მენშევიკების მიერ.

1901 და 1921 წლამდე ამხ. ვანო განიცდიდა მუდმივ დევნას თვითმპყრობელობის ჟანდარმების და მენშევიკების განსაკუთრებული რაზმის აგენტების მიერ.

1913 წლიდან 1915 წლამდე ამხ. ვანო იმყოფებოდა მაცანის და სალიანის ველში და მსახურობდა კავკასიის წყალთა სამმართველოში.

„თებერვლის რევოლიუციამ — ვკითხულობთ ამხ. ვანოს ავტობიოგრაფიაში — მომისწრო ქუთაისის მაზრაში—ქ. სამტრედიაში 2 მარტს მე პირველმა მოვიწვიე ლეგალური კრება და გავაკეთე მოკლე საინფორმაციო მოხსენება გადატრიალების შესახებ, თუმცა მე თვითონ არ მქონდა დაწვრილებით ცნობები. ავირჩიეთ დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი, შევუდექით ჩაფრების განიარაღებას, ბოქაულებისა და მამასახლისებისათვის საქმეების ჩამორთმევას, მილიციის შექმნას და სხვ“.

ამავე წლის მაისში ამხ. ვანო არჩეულ იქნა კულაშის თემის აღმასრულებელი კომიტეტის წევრათ, ხოლო შემდეგ აღმასკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ.

1917 წ. ნოემბერში ამხ. ვანო მონაწილეობას იღებდა სამტრედიაში მოწვეული პარტ კონფერენციაზე, 1918 წელს მონაწილეობდა ქუთაისში მოწვეულ პარტკონფერენციაში. 1919 წლის მაისში გაგზავნილი იყო ქუთაისიდან ბაქოში ამიერ-კავკასიის პარტკონფერენციაზე. 1920 წელს დეკემბერში იყო თბილისში მოწვეული პარტიულ ყრილობის დელეგატი, ამავე ყრილობაზე ამხ. ვანო არჩეულ იქნა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1921 წლიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე, ამხ. ვანო მუშაობს საქართველოში ხელმძღვანელ საპასუხისმგებლო პოსტებზე. ის იყო პარტიის რესპუბლიკანური და საოლქო საკონტროლო კომისიების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი, იყო საქართველოს ცაკის თავმჯდომარის მოადგილე და საკავშირო ცაკის წევრი და სხვ.

მთელი თავისი სიცოცხლე ამხ. ვანო სტურუამ შესწირა მუშათა კლასის საქმეს, ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მშრომელ მასებში. პარტია და მასთან ერთად მშრომელი მასები ყოველთვის სიამაყით მოიგონებენ ძველი გამობრძმედილი რევოლიუციონერის ამხ. ვანოს ხსოვნას.

# — …ევენა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდა. კოლექტივის ხნულებს მტერივით დაეცა ქარი და ზუზუნით აფორიაქებდა, თითქოს ჯიბრზე გამდგარა და გუშინდელი ნათესის ამოყრა უნდაო.

ქარია, მაგრამ ბეტუნა ცოცხლად მიაბიჯებს. ის ახლა მეტად ამაყია. ხუმრობა საქმე ხომ არ არი, დღეს პირველად მიანდევს ასეთი პასუხისმგებელი ბარათის წაღება, ბარათის, რომელზედაც აწერია:

**საჩქაროდ.**

**სოფელ ნაბახევში.**

**სას.-სამ. არტელ „შრომა"-ს გამგეობას, საკუთარ ხელში**

ბეტუნა, რა თქმა უნდა, არ გააცრუებს ნდობას, ის საჩქაროდ ჩააბარებს პარათს. მაშ, როგორა გგონიათ, ტყუილად ხომ არ ეძახიან მას ბრიგადირი მუშები „პატარა ამხანაგო"-ს!

ასე ფიქრობს ბეტუნა და სწრაფად მიდის ქუჩის ორივე მხარეზე, თხრილებს იქით, მოჩანს ბუჩქნარით შემოგარსული მწვანე მოლი. აი, ძია ესტატეს ეზო, იმ ესტატესი, რომ გაკერპდა და კოლექტივში არ შედის, ის თმა აბურძგნული და პერანგა ბიჭი კი, ჭაზე რომ ჭყუმპალობს ბეტუნას ამხანაგია, ბუჭა. ქარი ეომება მას და ფანტავს წყალს, ბუჭა, რომ ისხამს თავზე, ბიჭი კი აინუნშიაც არ იგდებს და ხმამაღლა გაჰყვირის.

„გევიხედე, რას შევხედე,—
ჩიტი ჰამდა ლობიოს...
ჰერი, ჰერი, ჰერი ბიჭებო.

სხვა დროს ბეტუნა უხმოდ არ ჩაუვლიდა მეგობარს, გამოეხმაურებოდა. მაგრამ ახლა რა იმისი ცხელა, როცა აბგაში უდევს ქაღალდი წარწერით: **„საჩქაროდ"**. მიაბიჯებს ბეტუნა და კიდევ დიდხანს მისდევს მას ბუჭას უდარდელი ხმა:

„კოლექტივის გზაზედა
კულაკი ზის ქვაზედა,
ხანდახან წამოიმღერებს
ვაი - ვუის ხმაზედა".

დაღლა არ უგვრძნია ბეტუნას. ხუთი კილომეტრის გზა, გზა, რომელიც ქალაქელ ბავშს ტრამვაიში ჯდომის დროსაც კი დაღლიდა, სიმღერით და სტვენით გაირა. ჯერ, სანამ დასახლებულ ადგილებს მოჰყვებოდა გზა, თავი დინჯად ეჭირა. თუ რომელიმე კოოპერატიულ აივანზე გრძელკაბა ქალი ან ნაცნობი ქალიშვილი გამოჩნდებოდა, ბეტუნა წელში გასწორდებოდა, თავს აალერდა „გამარჯობა თქვენი" დაიძახებდა და გზას განაგრძობდა, ასე ეგონა, შუბლზე მაწერია, რომ ასეთი პასუხისმგებელი დავალება მაქვსო. მაგრამ გასცდა თუ არა სოფელს და დაადგა ორღობეს, მოხსნა გუდას თავი: მოდგა და, რაც სიმღერები იცოდა სულ ჩაარაკრაკა.

აი, რა წაიკითხა არტელ „შრომის" გამგეობის თავმჯდომარემ „საკუთარ ხელში" მირთმეულ ბარათში:

**არტელ „შრომა"-ს გამგეობას**

**ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენგან სესხად ნათხოვნი სათესლე სიმინდი, ერთი ურემი, გამოიგზავნება დღეს, დასვენების შემდეგ. ურემს გამოყვება ბრიგადირი სოსო და გთხოვთ გზაში შემოგვაგებოთ თქვენი ურემი.**



კომკავშირელი ქალი სამუშაოზე

**არტელ „ვარსკვლავი"-ს გამგეობა სოფ. ჭანელი**

თავმჯდომარემ სიხარულით გადაატრიალა ბარათი, მერე თავი აილო და გაცინებული თვალები ბეტუნას შეავლო.

—მაშ მოდის სიმიდი, ჰა?

— მოდის.

თავმჯდომარემ არ იცოდა რით გამოეხატა სიხარული და უცებ ჰკითხა:

— რა გვარი ხარ?

— გაგნიძე, — სწრაფად მიუგო ბეტუნამ.

— კომკავშირელი ხარ?

— პიონერი ვარ.

თავმჯდომარე გაჩუმდა, თითები მაგიდაზე ათამაშა, მერე ხელი ჯიბესაკენ წაიღო, რაღაც შავი საგანი ამოიღო და ბეტუნას გაუწოდა.

—აჰა,—სთქვა მან, — წაიღე სახსოვრად.

ბეტუნამ ჩამოართვა მაგრამ ვერ მიხვდა რაი იყო, რისი მაქნისი.

ჯიბის დანაა — დანას არა ჰგავს, ფანქარია — ფანქარს არა ჰგავს.

თავმჯდომარე მიუხვდა ჭოჭმანს, გაიქვინა და გამოართვა უცნაური საგანი.

— აი, ნახე, — სთქვა მან, — ეს ფანქარი და კალამია ერთად.

— ჰო, — უთხრა განცვიფრებულმა ბეტუნამ.

— ახლა კი წადი შინ, არ შემოგაღამდეს. თქვენებს მადლობა უთხარი. ურემს მოგაგებებთ.

ფრთხაშესხმულივით მიფრინავდა ბეტუნა. თუ აქეთობას სიმღერებს



თესლეული მეორე ბოლ შევიკურ გაზაფხულისათვის

არაკრაკებდა, ახლა ერთი - ორად იქცა.

როცა თავისი სოფლის ბოლოს მიაღწია, მუხლებში უცნაური სისუსტე იგრძნო და მოაგონდა, რომ არ უსაუზმნია.

მიიხედ - მოიხედა და დასასვენებელი ადგილი აითვალთვალა. მისი არჩევნები პატარა ამწვანებულ გორაზე შეჩერდა. გორა — კი, რომელსაც გარს ერტყა ხშირი ბუჩქნარი და აქა - იქ ჩრდილიანი ალუბალიც ამშვენებდა პატარა მოედანს დაყურებდა. ამ მოედანს „ტერიძეების კარს" ეძახდენ, რადგან აქ სახლობდენ ტერიძეები და მათი ავან - ჩავანი. უქმე დღეებში აქ, ტოტებ გაშლილ ჭანდრის ქვეშ, იკრიბება ხალხი და არის ერთი ცეკვა - თამაში, მისვლა - მოსვლა და სიმღერა.

ბეტუნამ მოიკალათა ერთ - ერთი ალუბლის ქვეშ, მიჰყო ხელი საუზმეს და ღიმრიელად ილუკმებოდა. როცა ამ საქმეს მორჩა, თავის ახლად შეძენილ საუნჯეს დაუწყო თვალიერება, თან ფიქრობდა — როგორ გაკვირდებიან ჩვენი გოგო - ბიჭები, როცა ამ საჩუქარს ვაჩვენებთ.

ჭორი ჩადგა და წყნარ ნიავად გადაიქცა.

ბეტუნა გაწვა გულაღმა. თვალს ადევნებდა ღრუბლებს და ფიქრობდა: ნეტავ თუ მართალია, ბრიგადერმა სოსომ, რომ გვითხრა: ცა, ცა — კი არ არის, არამედ ჰაერია, ღრუბელიც შეკუმშული ჰაერია და მეტი არაფერით.

ვერც კი გაიგო, როგორ ჩასძინებოდა.

ბეტუნა ლაპარაკმა გამოაღვიძა, — ლაპარაკმა კი არა, ჩურჩულმა. პირველი, რაც დაინახა ეს უცხო სიბნელე იყო, სიბნელე, რომელიც ტვირთივით დასწოლოდა თვალებზე და წამწამების აწევას უშლიდა. როცა თვალი შეაჩვია სიბნელეს, ოდნავ გაარჩია ოთხი ლანდი მოედანზე. ერთი — დიდი ჭადრისა, ჭადრის ქვეშ კი — სამი მოძრავი ჩრდილი. შიშმა აიტანა ბიჭი. „ქაჯები" — გაუელვა თავში. მაგრამ წუთსვე მოაგონდა იმავე ბრიგადელის ნათქვამი: „ქაჯები მშიშარა და მატყუარა ხალხის გამოგონილია", და ცოტათი გამხნევდა. უცებ ყური მოჰკრა სიტყვას, რომელმაც ელვასავით გასჭრა ბნელი:

— კოლექტივი.

„ჩვენები" — სიხარულით გაფიქრა ბეტუნამ და უნდოდა დაეძახნა, მაგრამ ყურს ჩასწვდა მეორე სიტყვა:

— ჩავაძაღლოთ.

სისხლი გაეყინა ბიჭს ძარღვებში. ის გაინაბა და სმენად გადაიქცა. ახლა კი მკაფიოდ გაიგონა ნაცნობი ხმა. ეს ხომ სოფრომაა.

— აგვაწიოკა, ხალხი გადარია. ცხვირმოუხოცელი ბიჭი.

სიტყვა მეორემ ჩამოართვა.

— ღირსია. ხალხი დაშინდება, ჭკუაზე მოვა.

შემდეგ ისევ სოფრომმა დაიწყო:

— ჩაუსაფრდეთ. სიმინდი წაიღო ნაბახევში. გამობრუნდება ალბათ. თუ მარტოდ არის, ვესროლოთ.

მესამე ხმაც.

— ჰო, შვილო, ჰო. კაცის მოკვლა ცოდვაა, მაგრამ ეგენი კაცები კი არა, ეშმაკებია, მაგათი მოკვლა ცოდვა კი არა, მადლია.

უნდა მოკლან ბრიგადელი სოსო, ჩვენი სოსო! ისეთი ჭკვიანი და მხიარული, ნამდვილ კომკავშირელი!

თმა ყალყზე უდგება ბეტუნას, ტვინი გამალებით მუშაობს, რამე უნდა მოიფიქროს.

უცებ ფეხის ხმა.

— მოდის, მარტოა!

ეს მიშაა.სოფრომას შვილი.

— რა გაყვირებს, შე ვირო!

შორიდან მოესმა ურმის ჭრიალი და ნელი ღიღინი:

კომუნისტს ვინ შეეცვლება?
„კომუნისტს ვინ შეეცვლება?
— კომკავშირი, ძმაო, კომკავშირი".

გაისმა ჩახმახების ჩხაკუნი. ემზადებიან.

ბეტუნა მთელის ტანით თრთოდა. უნდა გააფრთხილოს სოსო, მაგრამ როგორ? თუ თვალი მოჰკრეს ბეტუნას, ხომ იქავე ჩააძაღლებენ. მაგრამ არა, რაც გინდა მოხდეს, სოსოს უნდა მიეშველოს.

ბეტუნა გაწვა, მუცელზე დაიწყო ცოცვა. ჯერ ხუთი ნაბიჯითაც არ მოშორებოდა ძველ ადგილს, რომ ფეხი ფიჩხს გამოსდო. ფიჩხმა ლაწანი გაადინა.

ბიჭი გაშეშდა, გული ძალზე უცემდა.

— ვინ ეშმაკი აფაჩუნებს იქ? — მოესმა მრისხანე ხმა.

— დავიღუპე! — გაუელვა თავში.

— ვინ უნდა იყოს, საქონელი იქნება, — მოისმინა დამშვიდებული პასუხი და გულზე მოეშვა.

განაგრძო ფოფხვა.

ოღონდ კი მიუსწროს, ოღონდ კი!

სულთქვა შეკრული მიცოცავდა და მიცოცავდა აი, გასცდა გორაკს, ბუჩქნარიც შეთხელდა. ახლა ყრუდ-ღაისმის იმათი ჩურჩული. ცოტა კიდევ — და სულ მიწყდა. ახლა კი შეუძლია მოუსვას წამოდგა, დაადგა შარას და ქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ცარიელ ურემში სოსო ხმამაღლა ღიღინებდა.

„კომკავშირს ვინ შეეცვლება"
კომკავშირს ვინ შეეცვლება?
— პიონერი, ძმაო, პიონერი".

უცებ თავზე რაღაც დაახტა, წამოიჭრა და ხელი რევოლვერზე გაიკრა, მკვართ ბნელში გაარჩია ბეტუნას სახე.

— ბიჭო!.. პატარა ამხანაგო, შენა? აქ რას აკეთებ?

რა მოგივლია, ბიჭო, ეგრე რატომ თრთი?

ბიჭი სულს ძლივს იბრუნებდა. ხელი წინ გაიშვირა და მხოლოდ ერთი სიტყვა გამოსწურა.

— შეაჩერე.

— ხი-ი, ხარო.

ხარები დადგნენ.

— რა მოხდა?

ნაწყვეტ - ნაწყვეტა უამბო ყველაფერი.

სოსომ პირი დაკუმა, წუთით ჩაფიქრდა, მერე თავი აიქნია.

— გაიქე ნაბახევისაკენ, ჩქარა, იმათ ურემს დაეწიე.

უთხარი ურემი დასტოვონ და მოგვეშველონ, იარაღი მოიმარჯვონ. ჩქარა.

უკანასკნელი სიტყვები უკვე ზურგში მიაძახა.

ბეტუნა გარბოდა.

კმაყოფილი ნაბახეველები დინჯად მისდევდენ ურემს.

ერთი წინ მიუძღოდა. აუჩქარებლად მასლაათობდენ.

უეცრად ურემს პატარა ლანდი გადაეღობა.

— ვინა ხარ?

შემოეხვიენ.

— ბიჭოს, ეს ჭანელი ბიჭია.

— რა მოხდა?

ბეტუნა ქაქანით უამბობდა.

— იქ ჩასაფრებული არიან... მიეშველეთ... სოსოს... იარაღიც...

სწრაფად მოისაზრეს

— აბა, ბიჭებო, ჩქარა, შენ, პატარავ ,ამ ურემს გაყევი, დანარჩენი ჩვენ ვიცით.

ბეტუნამ თავი გააქნია.

— არა! — მტკიცედ თქვა მან.— მეც თქვენთან.



ჭიათურის მუშები

გაუკვირდათ, მაგრამ ფიქრის დრო აღარა იყო.

— კარგი.

სამი დიდი და ერთი პატარა ჩრდილი გარბოდა შარაზე.

მოსახვევზე მეოთხეც შეუერთდათ.

—სოსო. ხმაგაკმენდილნი მიაბიჯებდნენ.

ახლა კი გადავუხვიოთ გზიდან, —სთქვა სოსომ, — შეგვნიშნავენ.

აი, ის გორაკი, სადაც ბეტუნია იწვა. უხმოდ მიიწევენ წინ.

ჭადრის ქვეშ ირწეოდა სამი ლანდი.

თავი დაუარეს, ზურგიდან მიუახლოვდნენ.

— ასწიეთ ცილიბი!

— ოი, თქვენი! — დაიგინა სოფრომმა და გადმოიღო თოფს ჩახმახი გამოუშვა. გავარდა თოფი. ტყვიამ სადღაც ახლოს გაიზუზუნა.

ყველანი ფეხზე დარჩნენ.

— ასტყდა.

დამიზნებული რევოლვერების შეხედვაზე სამი წყვილი ხელი მორჩილად აიმართა მაღლა.

თენდებოდა.

გათხელებულ წყვდიადში გაარჩიეს, რომ იმ სამში მღვდელი აღარ ჩანდა.

— მოუცოცხავს „მამაოს“ — გაეცინა სოსოს.

თოფის ხმაზე ნელ - ნელა გამოეფინა ხალხი, ატყდა მითქმა - მოთქმა.

— თავლაფდასხმა სოფრომას!

— ეს თავისი ბიჭი რაღაზე გასვარა?

— მოსაკლავია ნამდვილად.

სოსოს შემოხვდნენ კოლექტივის წევრები და კითხვებით აღრჩობდნენ.

— იცით, ამხანაგებო, ვის უნდა ვუმადლოდე? — ღიმილით სთქვა სოსომ და მიიხედ - მოიხედა, თითქო ვიღაცას ეძებსო. აი, იპოვა ის, ვისაც ეძებდა, და ღიმილი შეახმა პირზე: ბეტუნია ლონემიხდილი მიჰყუდებოდა ჭადარს, სახეზე ნაცრისფერი ედო და მარცხენა სახელოდან ნელ - ნელა სწვეთავდა სისხლი.

სოსო ერთის ნახტომით მასთან გაჩნდა.

—დაიჭერი, ბიჭო?

— მგონი... — ძლივს ამოილუღლუღა ბიჭმა და ჩაიკეცა.

რამოდენიმე წყვილმა ხელმა აიტაცა ის.

— ბიჭებო, პატარა ამხანაგი დაჭრილია! — დაიყვირა ვიღაცამ.

— არიქა, ხალხო, ექიმი!

— საკაცე.

ბეტუნია უგრძნობოთ იდო.

**მარიკა მიქელაძე.**



საბჭოთა კავშირში ტარდება სკოლების პოლიტექნიზაცია. მოსწავლე ახალგაზრდობა მიმაგრებულია სხვადასხვა წარმოებაში პრაქტიკული სამუშაოებისათვის. სურათზე: მოსწავლეები ასრულებენ სასტამბო მუშაობას

# პიონერებო
## გამოიწერეთ და იკითხეთ თქვენი ჟურნალი
# „პიონერი“



მოსწავლეები ქაღალდის საჭრელ მანქანას თავისუფლად ამუშავებენ

# ნარევი

### შეიძლება თუ არა ადუღდეს წყალი გაუთბობლად?

აიღეთ წყლიანი ჭურჭელი და მოათავსეთ უჰაერო სივრცეში. წყლის დუღილის ტემპერატურა ჰაერის წნევაზეა დამოკიდებული: რაც უფრო ნაკლებია ჰაერის წნევა, მით უფრო დაბალი ტემპერატურაა საკმაო მის ასადუღებლად. წყალს, რომელიც ჰაერტუმბოს ზარხუფშია მოადუღებს.

### გავარვარებული რკინა და სველი თითი.

თუ სველ თითს ოდნავ შეახებთ გავარვარებულ რკინას, თითი არ დაგეწვებათ. რატომ? წყალი, რომელიც თითზეა, დაუყონებლივ იქცევა ორთქლად და ორთქლის ეს თხელი შრე დაიცავს თითს, ის უშუალოდ არ შეეხება გახურებულ რკინას. მაგრამ ამ ორთქლს დაცვა შეუძლია მხოლოდ ერთ მომენტში და, თუ ამ მომენტს გადააჭარბებთ, მაშინ რკინა თითს დაგიწვავს.

### რატომ სკდება წყალსადენი მილი, როდესაც იმაში წყალი გაიყინება.

წყალს ასეთი თვისება აქვს: როდესაც გაიყინება, ის ფართოვდება და უფრო მეტ ადგილს იჭერს, ვიდრე გაყინვამდე ეჭირა. ამის გამო ის შიგნიდან უფრო მეტი ძალით აწვება მილის კედლებს, და მილი სკდება.

### ცხელი წყალი ჭიქას გახეთქავს — ლითონის კოვზი არ აძლევს ნებას.

როდესაც ლითონის კოვზს ჩავდებთ ჭიქაში და შემდეგ ცხელ წყალს ჩავასხამთ შიგ, სითბოს საგრძნობ რაოდენობას შთანთქავს, რის გამოც ჭიქა ერთბაშად არ გაცხელდება. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ კოვზი გაჰფანტავს ცხელი წყლის ნაკადს და ჭიქა უფრო თანაბრად ცხელდება, ვიდრე უკოვზოდ.

# ჩვენი მტრები

პარლამენტის ტრიბუნაზე აღზნებულ სიტყვებს ამბობენ ორატორები. გაზეთების მოწინავე წერილებში ხან ალტაცების შადრევანი გადმოსჩქეფს, ხან აღშფოთების ჭეზერი იღვრება.

პოლიტიკურ გამომჭრელებს მაგრატელი აქვთ მომარჯვებული მსოფლიოს რუკის გამოსაჭრელად. კონფერენციებზე გაისმის „ბრძნული“ სიტყვები განიარაღების შესახებ. დიქტატორები გულმოდგინეთ ცდილობენ შეისწავლონ ნაპოლეონის პოზები. ასეთია ის სცენა, რომელზეც მოქმედებენ კაპიტალისტური ფასონების და ტრაგი-კომედიების პერსონაჟები.



პუანკარე ბოლდუინი მონდი

მაგრამ კულისებს იქით არის მძლავრი რეჟისურა, რომელიც ადევნებს თვალყურს ყველაფერს.

ბატონი ბრიანი, რომელიც ოდესღაც გუნდრუკს უკმევდა საყოველთაო გაფიცვას, რომ შემდეგ, როდესაც დაეძგერა სამინისტრო პორტფელს, აეკრძალა თვით მისი ხელით ნაწერი საგაფიცვო მოწოდებები, რომელნიც მოხერხებულმა გაფიცულებმა მონახეს არქივში და გამოამზეურეს,—ბატონი არისტიდ ბრიანი პოლიტიკური სამზარეულოს ნამდვილი მესვეურია.

ბურჟუაზიის სანდო პირების ამპლუა სხვადასხვანაირია. ლოიდ-ჯორჯმა „კეთილშობილი მამა“ უნდა განასახიეროს; სამოცდაათი წლის ოინბაზი მზად არის აღიაროს ხუთწლედის რეალობა, რჩევა-დარიგება გამოაფრქვიოს უმუშევრობისა და კაპიტალისტური კრიზისის შესახებ, მაგრამ იმ მიზნით, რომ შეეცადოს გააბრიყვოს მასა, მხარი დააჭერინოს მას კაპიტალიზმისათვის და ზურგიდან შეუტიოს მუშებს.

ბოლდუინ, ჩემბერლენ-ჩერჩილი — ესაა ტრაგიკოსთა ტრიო. ისინი ტრაგიკულ პოზას იღებენ და მშიშარა ჰედერსონს აწამებენ თემთა პალატაში საბჭოთა კავშირის „ხრიკების“ შესახებ შეკითხვებით. „მოეხსენება



ა. ვარენნ ლუშერი დეტერდინგი

თუ არა პატივცემულ მინისტრს, რომ საბჭოთა პოლიტწარმომადგენელი კომუნისტია და ამიტომ შეუძლია მრღვევი პროპაგანდის წარმოება“—სევდიანად ეკითხება ბოლდუინი. „მოეხსენება თუ არა პატივცემულ მინისტრს, რომ საბჭოთა კავშირში ხე-ტყის დასამზადებლად მუშაობენ მთლად ერთიან ბორკილდადებული არისტოკრატები“ — ხმაჩახლეჩით ღაღადებს ჩემბერლენი. „ინგლისიდან რატომ აქამდე არ არიან გაძევებული საბჭოთა მოქალაქენი?“—ლომივით ღრიალებს უინსტონ ჩერჩილი, ომის ცეცხლის ერთ-ერთი დამნთები და სამოქალაქო ომის დროს ინტერვენციის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი. ქურდი მინისტრი ჯოინსონ ხიკსი უმთავრესად ხვდება ხოლმე ანტისაბჭოთა კრებებისა და კომიტეტების პრეზიდიუმებში. გამღების დეტალური ცოდნა, ამ ჯენტლემენის მიერ საბჭოთა პოლიტწარმომადგენლობაზე თავდასხმის დროს გამოაშკარავებული, ძალიან ფასობს ასეთ შემთხვევაში.

კომიკოსები?

კომიკოსების ვალია—შეარბილონ აღგზნება და დაატკბონ პატივცემულ ჯენტმენთა თვალები. აი ჭაღარა მაკდონალდი, რომელიც „სარწმუნოებრივი მოსაზრებებით“ გასოციალისტდა, აი ჰენდერსონი — ყოფილი მუშა, რომელსაც განვლილი აქვს ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებათა და სარწმუნოებრივ წრეთა სკოლა, აი ძველი პროფგამცემი ტომასი. ოჰ, ეს კომიკოსები, რომელნიც ცდილობდენ ძალიან სერიოზული სახე მიიღონ, როდესაც მოუწოდებდენ მუშებს—ბურჟუაზიის სამსხვერპლოს ნუ მოაკლებთ შესაწირავსო.

მაგრამ ვინ არის ინგლისელთა ამ დასის ნამდვილი ბატონ-პატრონი?

აი—ნავთის მეფე ჰენრი დეტერდინგ.

მართალი რომ ვსთქვათ, ის ჰოლანდიელია, მაგრამ რაკი ინგლისის ნავთს მოჰკიდა ხელი, ინგლისის აზნაური გახდა. ბატონმა დეტერდინგმა განიზრახა ასევე დამოყვრებოდა რუსეთს. ნავთის კომპანიების აქციების შესყიდვა ადვილია, თავადის ქალის საცოლეს შოვნაც არ არის ძნელი, მაგრამ ბაქოს ნავთზე გაბატონება კი არ მოხერხდა, ეს სურვილი მიმოფანტა ოქტომბრის გრიგალმა.



ნოსკე კოტი გინდერბურგი

ამიტომ ღელავს დეტერდინგი და დორბლსა ჰყრის ხუთწლედის შესახებ, ამიტომ არ უსვენებს და აჩქარებს ინტერვენციის ორგანიზატორებს. უსარგებლო აქციები ამძაფრებს მის ბრაზს.

აქვეა ალფრედ მონდი, რომელიც ღაღადებდა „მშვიდობიანობას მრეწველობაში“. ის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უსაზიზღრესი მტერია; ის დგას ქიმიური მრეწველობის სათავეში და შეეძლო მოემარაგებია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ახალი ომის დროს (ოღონდ კი ეს მოსწრებოდა ბატონ მონდს!) თითქმის მთელი კაპიტალისტური ძალები საბჭოთა განმანადგურებელი საომარი მასალებით.

აი ლორდები—ბივერბრუკი და როტერმირი; ესენი ხომ გაზეთის მეფეები არიან, და მათ ხელშია მოზხამული პროპაგანდის მთავარი ბერკეტები, ისინი აწვდიან მასას საბჭოთა კავშირის შესახებ უსაზიზღრესი ცილისწამებით სავსე პრესას.

როლები სწორედ ასევეა განაწილებული ყოველ ნაციონალურ პოლიტიკურ ჯგუფში.

საფრანგეთში ბანკირები როტშილდები, ფაბრიკანტი ლუშერი და პარფიუმერისტი კოტი ახტუნებენ თავის დუდუკზე სოციალფაშისტების ხროვას, ბონკურით დაწყებული და ფაშისტი ტარდიეთი გათავებული.

მის აღმატებულებას — კაპიტალს დასის ყველა მონაწილე ემსახურება მთელი სულითა და გულით.

როკფელერი, ნავთის ბანდიტების პატრიარქი, 91 წლისაა. ამ არქეოლოგიურ ხაძვლეს ეკუთვნის ამერიკაში ერთ-ერთი უუმდიდრესი განძი. მამა მისი ქათმებსა და ბატებს იპარავდა, თვითონ როკფელერი კი ვერ დააკმაყოფილა ასეთმა წვრილმანმა— მან ნავთის პარვა დაიწყო და იმდენი მოიპარა, რომ როდესაც 1462-ჯერ დაარღვია კანონი და ამიტომ მას მიუსაჯეს 62.000.000 მანეთი ჯარიმა, მან ზიზღით ჩაიქნია ხელი; ის ამ დროს გოლფს თამაშობდა და სთქვა: „ეს სულელური განაჩენი არ შესრულდება“. რასაკვირველია, ასეც მოხდა, ვინაიდან როკფელერის ფული უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სასამართლოს განაჩენი.



ბრიანი უ. ჩერჩილი ფორდი

ჰენრი ფორდს თავისი თავი მუშების კეთილისმყოფელად მიაჩნია. ის მოითხოვს: „ჩემი“ მუშა ეკლესიაში უნდა დადიოდესო, ან სინაგოგაში—თუ ებრაელიაო. ის თვალყურს ადევნებს „ზნეობას“. ფორდმა იმას მიაღწია, რომ მის ქარხანაში ბრმებიც კი მუშაობენ. ქარხნის საავადმყოფოებში ავადმყოფნი ლოგინში მწოლნი მუშაობენ.

აი, ფარლის “ჭეშმარიტი ზნეობა“, ლაპარაკიც მეტია იმაზე, რომ ფორდის ქარხნები იძლევა არა მხოლოდ ტრაქტორებს და ავტომობილებს, არამედ უფრო მომეტებულად—დასახიჩრებული ქანცმილეულ ადამიანებს, ცოცხალ მკვდრებს.

კოტი სურნელოვან სითხეებს ამზადებს, მაგრამ საპარფიუმერიო სურნელების გარდა ის სცდილობს გაავრცელოს მთელს საფრანგეთში ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ჭორის შხამიანი გაზები. ფრანსუა კოტის წარსული შავი ლაქებითაა სავსე: ბანკროტობა, საპყრობილე, მგონი მკვლელობაც კი, მაგრამ ვის გააკვირვებ კაპიტალის სამფლობელოში ამგვარი ბიოგრაფიით!

ფრანგი სოციალისტი ვარენი, რომელმაც სისხლის ღვარი მოადინა ინდო-ჩინეთში, როდესაც იქ იყო გენერალ-გუბერნატორად, არ დაინტერესდება იმით, თუ რა გზით არის ეს ქონება შეძენილი.



ბონკური სოტემირი ბივერბრუკი

სისხლიანი ცერგიბელი და ნოსკე მოწიწებით დაუთმობენ გზას კაპიტალიზმის ბრიგადას — გენერალ ვეიგანს, რომელიც ხელმძღვანელობდა პანების პოლონეთის ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სისხლიან პუანკარესა და ჰინდენბურგის, რომელნიც ძალიან გაიწაფენ მუშათა სისხლის გამოშვებაში.

ძრწოდეთ მუშათა კლასის მტარვალნო, მალე დაჰკრავს თქვენი აღსასრულის საათი!

შეკვეთის № 1207 მთავლიტი 1622 ტირაჟი 5500






გამოვიდა და იყიდება პროლეტარული მწერლის

პანტელეიმონ ჩხიკვაძის

რომანი

# „სართულები“

გამოცემა „ქართული წიგნი“-ს

იმაზე, თუ რას ლაპარაკობს

## ამხ. სტალინი

კომკავშირის შესახებ

იმაზე, თუ როგორია

კომკავშირის ამოცანები

რეკონსტრუქციულ პერიოდში

შენ იპოვნი ორ დამკვრელ წიგნში, რომელიც ამ ახლო ხანში გამოდის სახელმწიფო გამომცემლობით

## 1. ი. სტალინი— კომკავშირის შესახებ

## 2. ს. მამულია—

ხუთწლედის გადამწყვეტი წელი და

## კომკავშირის ამოცანები

არ უნდა დარჩეს არც ერთი კომკავშირელი და პიონერხელმძღვანელი, რომელიც არ გაეცნობა ამ წიგნებს

დაიქვეთეთ სახელგამის ყველა სავაჭროში